



## კონვენცია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ

გავრცელება: საყოველთაო

27 ოქტომბერი, 2017

შედგენილია: ინგლისურ ენაზე

### შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტი

### ზოგადი კომენტარი №5 (2017) დამოუკიდებლად ცხოვრებისა და საზოგადოებაში ჩართულობის შესახებ

#### I. შესავალი

1. ისტორიულად, შშმ პირებს არ შეეძლოთ პირადი და ინდივიდუალური არჩევანის გაკეთება და ცხოვრების ყველა სფეროს კონტროლი. ბევრი ადამიანი მიიჩნეოდა მათ მიერ შერჩეულ თემებში დამოუკიდებლად ცხოვრების უნარ-ჩვევათა არმქონედ. მხარდაჭერა მიზნულია კონკრეტულ საცხოვრებელ პირობებზე და საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურა ზოგჯერ არ არის მოწყობილი უნივერსალური დიზაინის შესაბამისად. ნაცვლად იმისა, რომ შემუშავდეს შშმ პირთა დამოუკიდებელი ცხოვრების შესაძლებლობები, რესურსების ინვესტირება ხდება დაწესებულებებში. ამ ყველაფერმა, შედეგად, გამოიწვია მათი მიტოვებულობა, ოჯახზე დამოკიდებულება, ინსტიტუციონალიზაცია, იზოლაცია და სეგრეგაცია.
2. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია აღიარებს ყველა შშმ პირის თანასწორუფლებიანობას, რომ იცხოვრონ დამოუკიდებლად, ჩართულნი იყვნენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში და ჰქონდეთ არჩევანისა და საკუთარი ცხოვრების კონტროლის უფლება. მუხლს საფუძვლად უდევს ადამიანის უფლებათა უმთავრესი პრინციპი, რომ ყველა ადამიანი დაბადებულია თანასწორი ღირსებითა და უფლებებით და ყველას სიცოცხლეს აქვს თანაბარი ღირებულება.
3. მე-19 მუხლი ხაზს უსვამს, რომ შშმ პირები არიან უფლებების სუბიექტები და უფლებათა მქონენი. კონვენციის ზოგადი პრინციპია ადამიანის თანდაყოლილი პიროვნული ღირსების, მისი ინდივიდუალური ავტონომიის პატივისცემა, გადაწყვეტილების მიღების თავისუფლებისა და პიროვნების დამოუკიდებლობის ჩათვლით (მუხლი 3 (a)); ასევე, სრულყოფილი ჩართვა და მონაწილეობა საზოგადოებაში (მუხლი 3(c)). კონვენციაში დაცული სხვა პრინციპები არსებითად მნიშვნელოვანია მე-19 მუხლის განმარტებისა და გამოყენებისთვისაც.
4. დამოუკიდებელი ცხოვრება და სრულყოფილი ჩართვა საზოგადოებაში ის იდეებია, რომლებიც, ისტორიულად, მომდინარეობს შშმ პირებისგან. ეს გულისხმობს შშმ პირთა შესაძლებლობას, მოიპოვონ კონტროლი ისეთ ცხოვრებაზე, როგორც სურთ, მხარდაჭერის გამამდიერებელი ფორმების შექმნით (მაგ.: პერსონალური ასისტირება; ან მოთხოვნა, რომ საზოგადოებრივი დაწესებულებები იყოს უნივერსალური დიზაინის პრინციპით მოწყობილი).
5. კონვენციის პრეამბულაში მხარე სახელმწიფოები აღიარებენ, რომ ბევრი შშმ პირი ცხოვრობს სიღარიბეში და საჭიროა ამ მდგომარეობის ზეგავლენის დაძლევა. სოციალური გარიყვის საფასური

მაღალია, რადგან ის უხეშადერევა პირის ინდივიდუალურ თავისუფლებაში. სოციალური გარიყვა ასევე ქმნის სტიგმას, სეგრეგაციასა და დისკრიმინაციას. სამივე მათგანს, გარდა უარყოფითი სტერეოტიპებისა, რომლებითაც „იკვებება“ შშმ პირთა მარგინალიზაციის ციკლი, შეუძლია მიგვიყვანოს ძალადობამდე, ექსპლუატაციასა და სასტიკ მოპყრობამდე. შშმ პირთა მიმართ პოლიტიკა და კონკრეტული სამოქმედო გეგმები, დამოუკიდებელ ცხოვრებაზე უფლების (მუხლი 19) ხელშეწყობით, ხარჯთეფექტური მექანიზმია ისეთი მიზნების მისაღწევად, როგორცაა უფლებებით სარგებლობა, მდგრადი განვითარება და სიღარიბის შემცირება.

წინამდებარე ზოგადი კომენტარი მიზნად ისახავს მონაწილე სახელმწიფოთა ხელშეწყობას მე-19 მუხლისა და კონვენციით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაში. კომენტარი ძირითადად ეხება ისეთ ვალდებულებას, როგორცაა ნებისმიერი პირის მიერ სარგებლობა დამოუკიდებლად ცხოვრებისა და საზოგადოებაში ჩართულობის უფლებით; ასევე, იგი მოიცავს კონვენციის სხვა მუხლებსაც. მე-19 მუხლი კონვენციის ერთ-ერთი ყველაზე ფართო და ინტერსექციური მუხლია და არსებითად უნდა მიიჩნეოდეს მისი სრული განხორციელებისათვის.

7. მე-19 მუხლს შედეგად მოაქვს სამოქალაქო, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებები. იგი ადამიანის ყველა უფლების ურთიერთმიმართების, ურთიერთდამოკიდებულებისა და განუყოფლობის მაგალითია. დამოუკიდებლად ცხოვრებისა და საზოგადოებაში ჩართულობის უფლების რეალიზაცია მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როცა სრულდება ამ ნორმაში დაცული ყველა ეკონომიკური, სამოქალაქო, სოციალური და კულტურული უფლება. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი აწესებს, ერთი მხრივ, დაუყოვნებელი ძალის მქონე და, მეორე მხრივ, პროგრესირებადად განსახორციელებელ ვალდებულებებს<sup>1</sup> სრული განხორციელებისათვის საჭიროა სტრუქტურული ცვლილებებიც, რომლებიც შეიძლება წარმართოს ეტაპობრივად, მიუხედავად იმისა, ეხება თუ არა სამოქალაქო და პოლიტიკურ, ან სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ უფლებებს.

8. მე-19 მუხლი ასახავს ადამიანის ცხოვრების კულტურული მიდგომების მრავალფეროვნებას და უზრუნველყოფს, რომ მისი შინაარსი არ იყოს მიკერძოებული კონკრეტული კულტურული ნორმებისა და ღირებულებების მიმართ. დამოუკიდებლად ცხოვრება და საზოგადოებაში ჩართულობა ადამიანის ცხოვრების ძირითადი კონცეფციაა მსოფლიო მასშტაბით და გამოიყენება შეზღუდული შესაძლებლობის კონტექსტშიც. ეს ნიშნავს არჩევანის თავისუფლებას და კონტროლს საკუთარ გადაწყვეტილებებზე, რომლებსაც გავლენა აქვს პიროვნების ცხოვრებაზე საზოგადოებაში, თვითგამორკვევისა და ურთიერთდამოკიდებულების მაქსიმალური დონით. ეს უფლება ეფექტიანად უნდა განხორციელდეს სხვადასხვა ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ და პოლიტიკურ კონტექსტებში. დამოუკიდებლად ცხოვრების უფლება და საზოგადოებაში ჩართულობა ეხება ყველა შშმ პირს, ისეთი მახასიათებლების მიუხედავად, როგორცაა: რასა, კანის ფერი, წარმოშობა, სქესი, ფეხმძიმობა და დედობა; სამოქალაქო, ოჯახური ან კარიერული მდგომარეობა; გენდერული იდენტობა; სექსუალური ორიენტაცია; ენა, რელიგია, პოლიტიკური ან სხვა შეხედულება; ეროვნული, ეთნიკური, ადგილობრივი ან სოციალური წარმოშობა; მიგრანტის, თავშესაფრის მამიებლისა ან ლტოლვილის სტატუსი; ეროვნული ან უმცირესობისადმი კუთვნილება; ეკონომიკური ან ქონებრივი სტატუსი; ჯანმრთელობის მდგომარეობა; გენეტიკური ან სხვა სახის მიდრეკილება დაავადებისადმი; დაბადების ადგილი, ასაკი ან ნებისმიერი სხვა სტატუსი.

9. მე-19 მუხლში დაცულ უფლებას ფესვები ფართოდ აქვს გადგმული ადამიანის საერთაშორისო სამართალში. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია 29(1) მუხლში ხაზს უსვამს ისეთ სოციალურ ასპექტებს, როგორცაა: დამოუკიდებლობა ადამიანის პირადი განვითარების მხრივ და საზოგადოების ნაწილად ყოფნა. „ყოველ ადამიანს აქვს მოვალეობანი საზოგადოების წინაშე, რადგან მხოლოდ საზოგადოებაშია შესაძლებელი მისი პიროვნების თავისუფალი და სრული განვითარება“. მე-19 მუხლს ეფუძნება სამოქალაქო და პოლიტიკური, აგრეთვე, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებები: გადაადგილების თავისუფლება და საცხოვრებლის არჩევა (სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტის მე-12 მუხლი), ცხოვრების ადეკვატური სტანდარტის, მათ შორის, შესაფერისი ტანსაცმლის, საკვებისა თუ საცხოვრებლის (პაქტის მე-11 მუხლი) და კომუნიკაციასთან დაკავშირებული ძირითადი უფლებები ქმნის დამოუკიდებლად

<sup>1</sup> იხ. ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების კომიტეტის ზოგადი კომენტარი №3 (1990) მონაწილე სახელმწიფოების ვალდებულებათა ბუნების შესახებ, 3, პუნქტები 1-2.

ცხოვრებისა და საზოგადოებაში ჩართულობის საფუძველს. გადაადგილების თავისუფლება, ცხოვრების ადეკვატური სტანდარტი, აგრეთვე, შესაძლებლობა, რომ გესმოდეს და ესმოდეთ შენი პრიორიტეტები, არჩევანი და გადაწყვეტილებები, აყალიბებს ადამიანის ღირსებისა და პიროვნების თავისუფალი განვითარების განუყოფელ პირობებს.<sup>2</sup>

10. კონვენცია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ ხაზს უსვამს ქალთა და მამაკაცთა თანასწორობას და გმობს ნებისმიერი ფორმის დისკრიმინაციას ქალებისადმი (მუხლი 1). კონვენცია განმეორებითაც ადასტურებს ამ თანასწორობას სამართლებრივ საკითხებთან, მათ შორის, სამართალსუბიექტად აღიარებასა და მის განხორციელებასთან დაკავშირებით (მუხლი 15(2)). იგი მონაწილე სახელმწიფოებისაგან მოითხოვს, რომ იგივე უფლება ცნონ ადამიანის გადაადგილებასა და საცხოვრებლის შერჩევასთან მიმართებითაც (მუხლი 15 (4)).

11. ბავშვის უფლებების კონვენციის 9(1) მუხლის მიხედვით, მონაწილე სახელმწიფოები „უზრუნველყოფენ, რომ ბავშვი არ იქნას დაშორებული თავისი მშობლებისგან მისი სურვილის საწინააღმდეგოდ, იმ შემთხვევების გარდა, როცა კომპეტენტური ორგანოები, სასამართლო გადაწყვეტილების თანახმად, განსაზღვრავენ სათანადო კანონისა და პროცედურების შესაბამისად, რომ ასეთი განცალკევება საჭიროა ბავშვის საუკეთესო ინტერესებისათვის“. კონვენციის მონაწილე სახელმწიფოები მშობლებსა და კანონიერ მეურვეებს სათანადო დახმარებას უწევენ, რათა მათ შეასრულონ თავიანთი მოვალეობანი ბავშვების აღზრდაში, და განავითარონ საბავშვო დაწესებულებების ქსელი, როგორც გარანტირებულია 18(2) მუხლით. გარდა ამისა, 20(1) მუხლის მიხედვით: „ბავშვს, რომელიც დროებით ან მუდმივად მოკლებულია თავის ოჯახურ გარემოცვას ან რომელსაც საკუთარი საუკეთესო ინტერესებისათვის არ შეუძლია ასეთ გარემოცვაში დარჩეს, სახელმწიფოს მხრიდან განსაკუთრებული დაცვისა და დახმარების უფლება აქვს“, ხოლო 20(2) მუხლის თანახმად: „მონაწილე სახელმწიფოები თავიანთი ეროვნული კანონების შესაბამისად უზრუნველყოფენ ასეთი ბავშვისთვის ალტერნატიულ ზრუნვას“. შესაძლებლობის შეზღუდვის საფუძველზე მიწოდებული ალტერნატიული ზრუნვა განიხილება დისკრიმინაციულად.

12. 23(1) მუხლი შემდგომ აყალიბებს, რომ ინტელექტუალური თუ ფიზიკური შეზღუდვის მქონე ბავშვი უნდა ცხოვრობდეს ისეთ პირობებში, რომლებიც იცავს მის ღირსებას, უნერგავს საკუთარი თავის რწმენას და უადვილებს აქტიურ მონაწილეობას საზოგადოების ცხოვრებაში. ბავშვის უფლებების კომიტეტმა შემოთავაზა გამოხატა დაწესებულებებში მოთავსებულ შშმ ბავშვთა დიდი რაოდენობის გამო. დეინსტიტუციონალიზაციის სხვადასხვა პროგრამის საშუალებით, კომიტეტმა მონაწილე სახელმწიფოებს მოუწოდა, მხარი დაუჭირონ ამ პირთა შესაძლებლობას, იცხოვრონ საკუთარ თუ გაფართოებულ ოჯახში, ანდა მინდობითი აღზრდით.<sup>3</sup>

13. თანასწორობა და დისკრიმინაციის აკრძალვა ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტური პრინციპებია, განმტკიცებული ყველა მნიშვნელოვან ინსტრუმენტში. №5 ზოგად კომენტარში შშმ პირების შესახებ (1994), ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების კომიტეტი ხაზს უსვამს, რომ „სოციალური ბარიერების დაწესებით მიღწეული სეგრეგაცია და იზოლაცია“ მიიჩნევა დისკრიმინაციად. მე-11 მუხლთან დაკავშირებით, ის აღნიშნავს, რომ შშმ პირთა უფლებების სრულად დასაცავად, ცხოვრების ადეკვატური სტანდარტის უფლება მოიცავს წვდომას არა მხოლოდ შესაფერის საკვებზე, საცხოვრებელსა და სხვა ძირითად მატერიალურ მოთხოვნილებებზე, არამედ მხარდაჭერის სერვისებსა და დამხმარე ტექნოლოგიებზეც.

14. მე-19 მუხლი და წინამდებარე ზოგადი კომენტარი უნდა ხელმძღვანელობდეს და მხარს უჭერდეს ახალი ურბანული დღის წესრიგის დანერგვას, რომელიც მიღებულია გაეროს კონფერენციაზე საბინაო და მდგრადი ურბანული განვითარების შესახებ (საცხოვრებელი გარემო III), როგორც 2030 წლის მდგრადი განვითარების დღის წესრიგისა და მიზნების განუყოფელი ნაწილი. ახალი ურბანული დღის წესრიგი მხარს უჭერს ქალაქებისა და დასახლებების ხედვას, სადაც

<sup>2</sup> იხ. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, მუხლი 22; ადამიანის უფლებათა კომიტეტი, ზოგადი კომენტარი №27 (1997) გადაადგილების თავისუფლებაზე, პუნქტი 1; ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების კომიტეტი, ზოგადი კომენტარი №4 (1991) სათანადო საცხოვრებლის შესახებ, პუნქტი 7.

<sup>3</sup> იხ. ბავშვის უფლებების კომიტეტი, ზოგადი კომენტარი №9 (2006) შშმ ბავშვთა უფლებების შესახებ, პუნქტი 47.

ყველა პირს შეუძლია სარგებლობა თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით. ეს ხდება ინკლუზიური, სამართლიანი, უსაფრთხო, ჯანმრთელი, მისაწვდომი, ხელმისაწვდომი, მედეგი და მდგრადი ქალაქებისა და დასახლებების ხელშეწყობით. კონვენციის მე-19 მუხლთან მიმართებით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მდგრადი განვითარების 10.2 და 11.1 სამიზნეები: „სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური ინკლუზიის გაძლიერება და ხელშეწყობა ყველასათვის“ და „ადეკვატური, უსაფრთხო და მისაწვდომი სახლისა და სერვისების უზრუნველყოფა ყველასათვის“.

15. შშმ პირთა კომიტეტმა აღნიშნა მე-19 მუხლის განხორციელების პროგრესი ბოლო დეკადის განმავლობაში. თუმცა, ის აკვირდება შესაბამისობას მე-19 მუხლის მიზნებსა და არსს და მისი დანერგვის ფარგლებს შორის. აღმოსაფხვრელია გარკვეული ბარიერები, კერძოდ:

- (a) უარი სამართლებრივ ქმედუნარიანობაზე, ფორმალური კანონებისა და პრაქტიკების მეშვეობით, ან დე ფაქტო შემცველი გადაწყვეტილების მიღებით საცხოვრებელ პირობებზე;
- (b) სოციალური მხარდაჭერისა და დაცვის სქემების არასათანადოობა საზოგადოებაში დამოუკიდებლად ცხოვრების უზრუნველსაყოფად;
- (c) პერსონალურ ასისტირებასა და ინდივიდუალიზებულ მხარდაჭერაზე მიმართული სამართლებრივი ჩარჩოებისა და საბიუჯეტო გადანაწილებების არასათანადოობა;
- (d) ფიზიკური და მარეგულირებელი ინსტიტუციონალიზაცია, რომელიც მოიცავს ბავშვებს და ყველა ფორმის იძულებით მკურნალობას;
- (e) დეინსტიტუციონალიზაციის სტრატეგიებისა და გეგმების ნაკლებობა და განგრძობითი ინვესტიციები ინსტიტუციური მოვლის დაწესებულებებში;
- (f) უარყოფითი მიდგომები, სტიგმა და სტერეოტიპები, რომლებიც ხელს უშლის შშმ ადამიანებს, რომ იყვნენ ჩართულნი საზოგადოებრივ ცხოვრებაში და ჰქონდეთ წვდომა მხარდაჭერაზე;
- (g) არასწორი შეხედულებები საზოგადოებაში დამოუკიდებლად ცხოვრებაზე.
- (h) მისაწვდომი, მისაღები, მისაწვდომი და ადაპტირებული სერვისებისა და ობიექტების ნაკლებობა ისეთი მიმართულებებით, როგორებიცაა: ტრანსპორტი, ჯანდაცვა, სკოლები, საჯარო სივრცე, ბინები, თეატრები, კინოები, საქონელი და მომსახურება, საჯარო შენობები;
- (i) ადეკვატური მონიტორინგის მექანიზმების ნაკლებობა მე-19 მუხლის სათანადოდ დანერგვისათვის, მათ შორის, შშმ პირთა წარმომადგენლობითი ორგანიზაციების მონაწილეობით;
- (j) ზოგადი საბიუჯეტო გადანაწილებისას შშმ პირებთან დაკავშირებული საკითხების არასაკმარისი მენისტრირება;
- (k) შეუსაბამო დეცენტრალიზაცია, რაც შედეგად იწვევს უთანასწორობას ადგილობრივ ხელისუფლებებს შორის; მონაწილე სახელმწიფოში დამოუკიდებლად ცხოვრების არათანაბარი შანსები.

## II. მე-19 მუხლის ნორმატიული შინაარსი

### A. განმარტებები

16. წინამდებარე ზოგად კომენტარში გამოიყენება შემდეგი განმარტებები:

- (a) **დამოუკიდებელი ცხოვრება.** დამოუკიდებელი ცხოვრება/ცხოვრება დამოუკიდებლად ნიშნავს შშმ პირთა უზრუნველყოფას აუცილებელი საშუალებებით, რომელთა მეშვეობითაც შეძლებენ, ისარგებლონ არჩევანისა და საკუთარი ცხოვრების კონტროლის უფლებით, ასევე, მიიღონ ყველა გადაწყვეტილება თავიანთი სიცოცხლის შესახებ. პირად ავტონომიას და თვითგამორკვევას ფუნდამენტური მნიშვნელობა აქვს დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის. აქ იგულისხმება: წვდომა ტრანსპორტზე, ინფორმაცია, კომუნიკაცია და პერსონალური ასისტირება (მხარდაჭერა,

ხელშეწყობა), საცხოვრებელი ადგილი, ყოველდღიური რუტინა, ჩვევები, სათანადო დასაქმება, პირადი ურთიერთობები, ტანსაცმელი, კვება, ჰიგიენა და ჯანდაცვა, რელიგიური აქტივობები და სექსუალური და რეპროდუქციული უფლებები. ეს აქტივობები დაკავშირებულია ადამიანის იდენტურობასა და პიროვნებასთან: სად ვცხოვრობთ და ვისთან ერთად; რას ვჭამთ; გვინდა თუ არა ძილი ან გვიან დაძინება, გარეთ ან სახლში ყოფნა, სუფრა ან სანთლები მაგიდაზე, ცხოველების ყოლა ან მუსიკის მოსმენა. ასეთი ქმედებები და გადაწყვეტილებები ქმნიან ჩვენს პიროვნებას. დამოუკიდებელი ცხოვრება პიროვნების ავტონომიისა და თავისუფლების არსებითი ნაწილია და არ გულისხმობს აუცილებლად მარტო ცხოვრებას. ის ასევე არ უნდა განიმარტოს, როგორც მხოლოდ დღიური რუტინის საკუთარი ძალებით შესრულების შესაძლებლობა. დამოუკიდებელი ცხოვრება უფრო მიიჩნევა არჩევანისა და კონტროლის თავისუფლებად, 3(a) მუხლში დაცული ინდივიდუალური ავტონომიისა და თანდაყოლილი პიროვნული ღირსების პატივისცემასთან ერთად. დამოუკიდებლობა, როგორც პირადი ავტონომიის ფორმა, ნიშნავს, რომ არ შეიძლება შშმ პირს ჩამოერთვას არჩევანისა და კონტროლის შესაძლებლობა ცხოვრების პირად წესსა და ყოველდღიურ აქტივობებთან დაკავშირებით;

(b) **საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობა.** ეს უფლება უკავშირდება სრული და ეფექტიანი ინკლუზიის პრინციპს და საზოგადოებაში მონაწილეობას, რაც დაცულია კონვენციის 3(c) და სხვა მუხლებით. იგი მოიცავს სრულ სოციალურ ცხოვრებას, ასევე, წვდომას როგორც საზოგადოებისათვის შეთავაზებულ ყველა სერვისზე, ისე შშმ პირთა სოციალურ ცხოვრებაში მონაწილეობისა და ჩართულობის მხარდამჭერ ყველა მომსახურებაზე. აღნიშნული სერვისები შეიძლება მიემართებოდეს შემდეგ სფეროებს: საცხოვრებელი, ტრანსპორტი, შოპინგი, განათლება, დასაქმება, რეკრეაციული აქტივობები, ასევე, საზოგადოებისთვის შეთავაზებული ყველა სხვა ობიექტი და მომსახურება, მათ შორის, სოციალური მედია. საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობის უფლება მოიცავს წვდომას პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების ყველა ზომასა და ღონისძიებაზე, მათ შორის, საჯარო შეხვედრებზე, სპორტულ ღონისძიებებზე, კულტურულ და რელიგიურ ფესტივალებზე და ნებისმიერ სხვა აქტივობაზე, რომლებშიც შშმ ადამიანს სურს მონაწილეობა.

(c) **დამოუკიდებელი ცხოვრების პირობები.** დამოუკიდებელი ცხოვრება და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობა ეხება ყველა ტიპის საცხოვრებელი დაწესებულების გარეთ ცხოვრებას. ეს არ ნიშნავს „მხოლოდ“ კონკრეტულ შენობას ან გარემოცვაში ცხოვრებას; უპირველეს ყოვლისა, იგი გულისხმობს პირადი არჩევანისა და ავტონომიის, როგორც სიცოცხლისა და საცხოვრებლის გარკვეული პირობების შენარჩუნებას. არც დიდი ზომის დაწესებულებები, ასი მცხოვრებით (ბენეფიციარით), არც შედარებით მცირე ზომის სახლები (5-8 ადამიანი) და არც ინდივიდუალური სახლები არ ჩაითვლება დამოუკიდებელ საცხოვრებელ პირობებად, თუ მათ ახლავს დაწესებულების ან ინსტიტუციონალიზების სხვა ელემენტები. მიუხედავად იმისა, რომ ინსტიტუციონალიზებული დაწესებულებები შეიძლება განსხვავდებოდეს ზომით, სახელწოდებითა და მოწყობით, არსებობს გარკვეული ელემენტები, როგორცაა: სხვებთან ასისტენტების (დამხმარებლის) გაზიარება და არანაირი (ან შეზღუდული) გავლენა ადამიანზე, რომლისგანაც უნდა მიიღოს დახმარება; იზოლაცია და სეგრეგაცია დამოუკიდებელი ცხოვრებისაგან საზოგადოებაში; ყოველდღიურ გადაწყვეტილებებზე კონტროლის ნაკლებობა; ვინმესთან ერთად ცხოვრების არჩევანის ნაკლებობა; რუტინის სიმტკიცე პირადი ნებისა და პრიორიტეტების მიუხედავად; პატერნალისტური მიდგომა მომსახურებაში; საცხოვრებელ პირობებზე მონიტორინგი; და იმავე გარემოში მცხოვრებ შშმ პირთა არაპროპორციული რაოდენობა. ინსტიტუციური დაწესებულებები შეიძლება შშმ პირებს გარკვეული დონით სთავაზობდნენ არჩევანისა და კონტროლის საშუალებას, თუმცა, ეს არჩევანი შემოიფარგლება ცხოვრების კონკრეტული სფეროებით და არ ცვლის დაწესებულებათა სეგრეგაციულ მახასიათებელს. პოლიტიკა და დეინსტიტუციონალიზაცია საჭიროებს შესაბამის სტრუქტურულ რეფორმებს, რომლებიც სცდება ინსტიტუციურ დაწესებულებათა დახურულობას. დიდი ან მცირე ზომის საცხოვრებლები განსაკუთრებით საშიშია იმ ბავშვებისათვის, რომლებთან მიმართებითაც არ იკვეთება ოჯახურ გარემოში აღზრდის ჩანაცვლების (ოჯახური გარემოდან მოწყვეტის) საჭიროება. „საოჯახო ტიპის“ დაწესებულებები მაინც ინსტიტუციები და ვერ ანაცვლებს ოჯახურ ზრუნვას;

(d) **პერსონალური ასისტირება (მხარდაჭერა; ხელშეწყობა).** პერსონალური ასისტირება ეხება პიროვნების/„მომხმარებლის“ მიერ მართულ ადამიანურ მხარდაჭერას, რაც შშმ პირისათვის

ხელმისაწვდომია და წარმოადგენს დამოუკიდებლად ცხოვრების ინსტრუმენტს (მექანიზმს). მიუხედავად იმისა, რომ პერსონალური ასისტირების (მხარდაჭერის) რეჟიმები შესაძლოა იცვლებოდეს, არის გარკვეული ელემენტები, რომლებიც გამოარჩევს მას ასისტირების სხვა ტიპებისაგან, კერძოდ:

(i) პერსონალური ასისტირება (ხელშეწყობა, მხარდაჭერა) უნდა დაფინანსდეს პერსონალიზებული კრიტერიუმის საფუძველზე და ითვალისწინებდეს ადამიანის უფლებათა სტანდარტებს სათანადო დასაქმების შესახებ. დაფინანსება უნდა გაკონტროლდეს და განაწილდეს შშმ პირებზე, რათა დაიფაროს ნებისმიერი საჭირო მხარდაჭერა. ის ეფუძნება ინდივიდუალურ საჭიროებათა შეფასებას და ინდივიდუალურ გარემოებებს. ინდივიდუალიზებული მომსახურებები არ უნდა იწვევდეს ბიუჯეტის შემცირებას და/ან პირადი გადასახადების გაზრდას;

(ii) მომსახურება უნდა გაკონტროლდეს შშმ პირის მიერ, რაც გულისხმობს, რომ მას შეუძლია, მომსახურებაზე კონტრაქტი გააფორმოს რამდენიმე ან ერთ-ერთ მიმწოდებელთან, ანდა იყოს დამქირავებელი. შშმ პირებს აქვთ შესაძლებლობა, შექმნან საკუთარი მომსახურების დიზაინი, ანუ დააპროექტონ მომსახურება და გადაწყვიტონ, ვინ, როგორ, როდის, სად და რა სახით უნდა მიაწოდოს სერვისი; ასევე, მართონ მომსახურება და ინსტრუქტაჟი ჩაუტარონ სერვისის მიმწოდებლებს;

(iii) პირადი დახმარება არის ურთიერთობა ერთი-ერთზე. პირადი დამხმარეები უნდა იყვნენ შესაბამისად გაწვრთნილნი და მათ ზედამხედველობდეს პირი, ვისთვისაც განკუთვნილია ეს დახმარება. პირადი დამხმარეების „გაზიარება“ არ შეიძლება დახმარების გასაწევი პირის სრული და თავისუფალი თანხმობის გარეშე. ეს შეზღუდავს და ხელს შეუშლის თვითგამორკვევას და სპონტანურ მონაწილეობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში;

(iv) მომსახურების მიწოდების თვითმართვა. შშმ პირებს, რომლებიც საჭიროებენ პირად დახმარებას, შეუძლიათ თავისუფლად აირჩიონ პირადი კონტროლის დონე მომსახურების მიწოდებაზე, მათი ცხოვრებისეული გარემოებებისა და პრიორიტეტების შესაბამისად. მიუხედავად იმისა, რომ გათვალისწინებულია „დამქირავებლის“ პასუხისმგებლობებიც, შშმ პირი ყოველთვის დგას მხარდაჭერაზე გადაწყვეტილებების ცენტრში. ის არის პირი, რომლისკენაც უნდა მიემართებოდეს კითხვები და რომლის პირად არჩევანსაც უნდა სცენ პატივი. პირადი დახმარების კონტროლი შესაძლებელია მხარდაჭერით მიღებული გადაწყვეტილებით.

17. მხარდაჭერის სერვისის მომწოდებლები ხშირად არასწორად აღწერენ საკუთარ მომსახურებას ტერმინებით: „დამოუკიდებელი ცხოვრება“, „საზოგადოებაში ცხოვრება“, აგრეთვე, „პირადი დახმარება“, მიუხედავად იმისა, რომ პრაქტიკაში ასეთი მომსახურებები არ ასრულებენ მე-19 მუხლის მოთხოვნებს. სავალდებულო „გადაწყვეტილებათა ნაკრები“ – რომელიც აკავშირებს ერთი კონკრეტული მომსახურების ხელმისაწვდომობას მეორესთან, გულისხმობს ორი ან მეტი ადამიანის ერთად ცხოვრებას, ან შეიძლება გაეწიოს მხოლოდ სპეციალურ საცხოვრებელ პირობებში - არ შეესაბამება მე-19 მუხლს. პირადი დამხმარის კონცეფცია, სადაც შშმ პირს არ შეუძლია სრული თვითგამოხატვა და კონტროლი, უნდა ჩაითვალოს მე-19 მუხლის შეუსაბამოდ. კომპლექსური საკომუნიკაციო მოთხოვნილებების მქონე პირები, მათ შორის, რომლებიც იყენებენ კომუნიკაციის არაფორმალურ საშუალებებს (მაგ.: კომუნიკაცია არაწარმომადგენლობითი საშუალებებით: სახის გამომეტყველება, სხეულის პოზიციონირება და ვოკალიზაცია), უნდა უზრუნველყონ შესაბამისი მხარდაჭერით. ეს მსგავსი საჭიროების მქონე პირებს საშუალებას მისცემს, რომ ჩამოაყალიბონ საკუთარი მითითებები, გადაწყვეტილებები, არჩევანი და/ან პრიორიტეტები, ასევე, მიჰყვებიან და პატივს სცემდნენ მათ.

## B. მუხლი 19, შესავალი

18. მე-19 მუხლი ადასტურებს დისკრიმინაციის დაუშვებლობას და შშმ პირთა თანასწორუფლებიანობას, რომ იცხოვრონ დამოუკიდებლად საზოგადოებაში. დამოუკიდებლად ცხოვრების, სხვებთან თანასწორი არჩევანისა და საზოგადოებაში ჩართულობის უფლებებით სარგებლობისათვის მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ეფექტიანი და შესაბამისი ზომები, რომ ხელი შეუწყონ უფლებების სრულ რეალიზებას, ასევე, შშმ პირთა სრულ ინკლუზიასა და მონაწილეობას საზოგადოებაში.

19. წინამდებარე მუხლი ფარავს ორ კონცეფციას, რომლებიც მკაფიოდ არის ნახსენები მის სათაურში: „დამოუკიდებლად ცხოვრების უფლება“ და „საზოგადოების ცხოვრებაში ჩართულობის უფლება“. თუკი დამოუკიდებლად ცხოვრება ეხება ინდივიდუალურ განზომილებას, როგორც საკუთარი თავის ემანსიპაციის უფლება, ისე, რომ არ არსებობდეს შესაძლებლობებზე წვდომის ხელშემშლელი პირობები, საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობა მოიცავს სოციალურ განზომილებას, ანუ ინკლუზიური გარემოს შექმნის პოზიტიურ უფლებას. მე-19 მუხლით დაცული უფლება მოიცავს ორივე კონცეფციას.

20. მე-19 მუხლი გარკვევით ეხება ყველა შშმ პირს. დაუშვებელია, სამართლებრივი ქმედუნარიანობის რაიმე „ხარისხის“ ნაწილობრივი თუ სრული ჩამორთმევა ან საჭირო დახმარების დონე გამოყენებული იყოს შშმ პირთა დამოუკიდებელი ცხოვრებისა და საზოგადოებაში ჩართულობის უფლებაზე უარის, ან ამ უფლების შეზღუდვის მიზეზად.

21. როდესაც შშმ პირები ფასდებიან, როგორც ადამიანები, რომლებსაც სჭირდებათ მაღალი დონის პირადი დახმარება, მონაწილე სახელმწიფოები ხშირად ერთადერთ გზად განიხილავენ ინსტიტუციურ დაწესებულებებს, განსაკუთრებით, როდესაც პირადი სერვისები ითვლება „მაღიან ხარჯიანად“ ან შშმ პირი მიიჩნევა „უუნაროდ“, რომ იცხოვროს ინსტრუქციური დაწესებულების გარეთ. პირები ინტელექტუალური დარღვევებით, მით უმეტეს კომპლექსური საკომუნიკაციო მოთხოვნილებებით, ხშირად ფასდებიან ინსტიტუციური დაწესებულების გარეთ ცხოვრებისათვის უუნაროდ. ასეთი დასაბუთება ეწინააღმდეგება მე-19 მუხლს, რომელიც აფართოებს დამოუკიდებლად ცხოვრებისა და საზოგადოებაში ჩართულობის უფლებას ყველა შშმ პირისათვის, ინტელექტუალური შესაძლებლობისა და თვითფუნქციონირების, ასევე, მხარდაჭერის საჭიროების მიუხედავად.

22. ყველა შშმ პირს აქვს თავისუფლება, იყოს აქტიური და ეკუთვნოდეს მის მიერ არჩეულ კულტურას. მათ უნდა ჰქონდეთ იმავე ხარისხის არჩევანი და კონტროლი საკუთარ ცხოვრებაზე, როგორც საზოგადოების სხვა წევრებს. დამოუკიდებელი ცხოვრება არ შეესაბამება „წინასწარგანზრახული“ ინდივიდუალური ცხოვრების წესის ხელშეწყობას. შშმ ახალგაზრდებს არ უნდა აიძულებდნენ იმ დაწესებულებებში ცხოვრებას, რომლებიც შექმნილია შშმ მოხუცებისთვის და პირიქით.

23. ყველა შშმ პირი, განურჩევლად გენდერისა, არის უფლებების მატარებელი და სარგებლობს თანაბარი დაცვით - მე-19 მუხლის მიხედვით. ყველა შესაბამისი ზომაა მისაღები ქალების სრული განვითარების, წინსვლისა და გაძლიერებისათვის. მე-19 მუხლის მიხედვით, ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი, ტრანსგენდერი, ქვიარი და ინტერსექსი შშმ ადამიანები უნდა სარგებლობდნენ თანასწორი დაცვით და, შესაბამისად, საჭიროა, პატივს სცემდნენ მათ პირად ურთიერთობებს. გარდა ამისა, დამოუკიდებლად ცხოვრებისა და საზოგადოებაში ჩართულობის უფლება მოიცავს ნებისმიერ პირს, ასაკობრივი თუ ეთნიკური ჯგუფის, კასტის, ენობრივ და/ან რელიგიურ უმცირესობასთან მიკუთვნებულობის მიუხედავად, ასევე, მიგრანტ, თავშესაფრის მაძიებელ და ლტოლვილ შშმ პირებს.

### C. მუხლი 19(a)

24. დამოუკიდებლად ცხოვრებისა და საზოგადოებაში ჩართულობის უფლების მთავარი იდეა არის არჩევანისა და გადაწყვეტილების თავისუფლება, როგორც, სად, ვისთან ერთად იცხოვრო. ინდივიდუალური არჩევანი არ შემოიფარგლება საცხოვრებელი ადგილით, მაგრამ მოიცავს ადამიანის საცხოვრებელი პირობების ყველა ასპექტს: დღიური განრიგი, რუტინა და ცხოვრების წესი, რაც ეხება კერძო და საჯარო სფეროებს ყოველდღიურად.

25. ხშირად შშმ პირები ვერ ახორციელებენ არჩევანის უფლებას, რადგან აქვთ არჩევანის ნაკლებობა (მაგ.: როდესაც ოჯახის არაფორმალური მხარდაჭერა ერთადერთი გზაა მათ დასახმარებლად; მხარდაჭერა ხელმიუწვდომელია ინსტიტუციური დაწესებულებების გარეთ; საცხოვრებელი მიუდგომელია, ან დახმარება არ არის უზრუნველყოფილი საზოგადოებაში; დახმარება უზრუნველყოფილია მხოლოდ სპეციფიკურ საცხოვრებლებში, როგორცაა სპეციალური სახლები ან ინსტიტუციური დაწესებულებები).

26. გარდა ამისა, შშმ პირებს შეიძლება არ მიეცეთ საშუალება, რომ ისარგებლონ ინდივიდუალური არჩევანის უფლებით. ამის მიზეზი შეიძლება იყოს: შესაბამისი ინფორმაციის ნაკლებობა, მეურვეობის კანონებით განსაზღვრული სამართლებრივი შეზღუდვები, ან გადაწყვეტილებები, რომლებიც არ აძლევს მათ სამართლებრივი ქმედუნარიანობის განხორციელების საშუალებას. მიუხედავად იმისა, არსებობს თუ არა რაიმე ფორმალური კანონი, ზოგჯერ სხვა ოჯახები, მომვლელები ან ადგილობრივი ხელისუფლება აკონტროლებენ და ზღუდავენ ადამიანის არჩევანს, როგორც შემცველი გადაწყვეტილების მიმღებნი.

27. სამართალსუბიექტობა და ქმედუნარიანობა (legal agency) არის საფუძველი, რომ შშმ პირებმა ისარგებლონ საზოგადოებაში დამოუკიდებლად ჩართულობის უფლებით. შესაბამისად, მე-19 მუხლი დაკავშირებულია სამართალსუბიექტად აღიარებასა და სამართლებრივ ქმედუნარიანობასთან, როგორც განსაზღვრავს კონვენციის მე-12 მუხლი და განმარტებულია კომიტეტის №1 (2014) ზოგად კომენტარში სამართლის თანასწორ სუბიექტად აღიარების შესახებ. გარდა ამისა, ის უკავშირდება შეზღუდული შესაძლებლობის საფუძველით დაკავების აბსოლუტურ აკრძალვასაც, მე-14 მუხლის თანახმად, რაზეც შემუშავებულია შესაბამისი სახელმძღვანელო პრინციპები.<sup>4</sup>

#### D. მუხლი 19(b)

28. ინდივიდუალიზებული მხარდაჭერის სერვისები შესაძლებელია უფრო მართებულად მიიჩნეოდეს, ვიდრე სამედიცინო, სოციალური ან საქველმოქმედო მოვლის ფორმები. ბევრი შშმ პირისათვის ინდივიდუალური დახმარების სერვისებზე წვდომა საზოგადოებაში დამოუკიდებლად ცხოვრების წინაპირობაა. შშმ პირებს აქვთ მომსახურებებისა და მათი მიმწოდებლების შერჩევის უფლება პირადი მოთხოვნილებებისა და პრიორიტეტების შესაბამისად. ინდივიდუალიზებული დახმარება საკმარისად მოქნილი უნდა იყოს, რომ თვითონ მოერგოს „მომხმარებელთა“ მოთხოვნილებებს და არა პირიქით. ეს მონაწილე სახელმწიფოებს აკისრებს კვალიფიციური პერსონალის საკმარისი რაოდენობით არსებობის ვალდებულებას, რათა შეძლონ პრაქტიკული გადაწყვეტილებების მიღება და საზოგადოებაში დამოუკიდებლად ცხოვრების ბარიერების აღმოფხვრა, ადამიანის მოთხოვნილებებისა და პრიორიტეტების შესაბამისად.

29. პუნქტი (b) აკონკრეტებს სხვადასხვა ინდივიდუალიზებულ მომსახურებას, რომლებიც ხვდება მხარდაჭერის კატეგორიაში. ისინი არ შემოიფარგლება სახლში მომსახურებებით და მოიცავს შემდეგ სფეროებს: დასაქმება, განათლება და პოლიტიკური თუ კულტურული მონაწილეობა; მშობლის როლის გაძლიერება და ოჯახის წევრებსა თუ სხვა ნათესავებთან კონტაქტი; პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში ჩართულობა; დასვენება და სხვა აქტივობები; და მოგზაურობა, როგორც რეკრეაციის ფორმა.

30. თუკი ინდივიდუალიზებული მხარდაჭერის სერვისები შეიძლება განსხვავდებოდეს სახელით, ტიპით ან სახეობით, მონაწილე სახელმწიფოს კულტურული, ეკონომიკური და გეოგრაფიული სპეციფიკის გათვალისწინებით, დახმარების ყველა სერვისი უნდა შეიქმნას ისე, რომ ხელს უწყობდეს საზოგადოებაში ცხოვრებას, ხელს უშლიდეს იზოლაციასა და სეგრეგაციას და კონკრეტულად იყოს ადაპტირებული ამ მიზნებისთვის. მნიშვნელოვანია, რომ მხარდაჭერის სერვისების ამოცანა იყოს საზოგადოებაში სრული ინკლუზია. შესაბამისად, მხარდაჭერის სერვისების ნებისმიერი ინსტიტუციური ფორმა, რომელიც იწვევს სეგრეგირებას და ზღუდავს პირად ავტონომიას, დაუშვებელია 19 (b) მუხლით.

31. ასევე უნდა გვახსოვდეს, რომ მხარდაჭერის ყველა სერვისი უნდა შემუშავდეს და მიაწოდონ ისე, რომ მხარს უჭერდეს ნორმის ზოგად მიზანს: სრული, ინდივიდუალიზებული, თვითშერჩეული და ეფექტიანი ინკლუზია, მონაწილეობა და დამოუკიდებლად ცხოვრება.

<sup>4</sup> შშმ პირთა თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლების სახელმძღვანელო პრინციპები (A/72/55, დანართი).



## E. მუხლი 19(c)

32. მუხლის ამ ნაწილში მოხსენიებული მხარდაჭერის სერვისები და ობიექტები არ არის ფოკუსირებული შეზღუდულ შესაძლებლობებზე და მიემართება ზოგადად საზოგადოებრივ მოხმარებას. ისინი მოიცავს ფართო სპექტრის მომსახურებებს, როგორცაა: საბინაო სერვისები, საჯარო ბიბლიოთეკები, ჰოსპიტალები, სკოლები, ტრანსპორტი, მაღაზიები, მარკეტები, მუზეუმები, ინტერნეტი, სოციალური მედია და სხვა. ისინი შეიძლება იყოს ყველა შშმ პირისათვის მისაწვდომი, უნივერსალურად მისაღწევი და ადაპტირებული საზოგადოებაში.

33. საზოგადოებრივი ობიექტების, საქონლისა და მომსახურებების მისაწვდომობა, აგრეთვე ინკლუზიური, მისაწვდომი დასაქმების, განათლებისა და ჯანდაცვის უფლებით სარგებლობა აუცილებელი პირობებია საზოგადოებრივ ცხოვრებაში შშმ პირთა ინკლუზიისა და მონაწილეობისათვის.

დეინსტიტუციონალიზაციის სხვადასხვა პროგრამა აჩვენებს, რომ ინსტიტუციური დაწესებულებების დახურვა, მიუხედავად მათი ზომისა, ასევე, ბინადრების დაბრუნებისა საზოგადოებაში, არ კმარა. ასეთ რეფორმებს უნდა ახლდეს ყოველისმომცველი მომსახურება და საზოგადოების განვითარების, მათ შორის, ცნობიერების ამაღლების პროგრამები. სტრუქტურული რეფორმები, რომლებიც შემუშავებულია საზოგადოებაში ზოგადი მისაწვდომობის გასაუმჯობესებლად, შესაძლოა ამცირებდეს მოთხოვნას შეზღუდული შესაძლებლობის სპეციფიკურ მომსახურებებზე.

34. მატერიალური ფარგლების თვალსაზრისით, მე-19 მუხლი ფარავს წვდომას უსაფრთხო და ადეკვატურ ბინაზე, ინდივიდუალურ სერვისებზე, საზოგადოებრივ ობიექტებსა და მომსახურებებზე. ბინაზე წვდომა ნიშნავს საზოგადოებაში სხვათა თანასწორად ცხოვრების შესაძლებლობას. მე-19 მუხლი არ არის ბოლომდე განხორციელებული, თუ ბინები უზრუნველყოფილია მხოლოდ სპეციალურად გამოყოფილ რაიონებში და მოწყობილია ისე, რომ შშმ პირებს უწევთ ცხოვრება ერთ შენობაში, კომპლექსსა ან სამეზობლოში. მისაწვდომი ბინა, რომელიც უზრუნველყოფს მისადაგებას შშმ პირებისათვის, მიუხედავად იმისა, მარტო ცხოვრობენ თუ ოჯახთან ერთად, ხელმისაწვდომი უნდა იყოს საკმარისი რაოდენობით და საზოგადოების ყველა ნაწილში, რათა შშმ პირს ჰქონდეს შერჩევის უფლება და საშუალება. ამ მხრივ, საჭიროა ბარიერებისაგან თავისუფალი ახალი შენობები და არსებული საცხოვრებელი სტრუქტურების გადაკეთება შესაბამისად. გარდა ამისა, ბინა მისაწვდომი უნდა იყოს შშმ პირთათვის.

35. ყველა შშმ პირისათვის, რომლებიც ცხოვრობენ ქალაქში ან სოფლად, მხარდაჭერის სერვისები ხელმისაწვდომი უნდა იყოს უსაფრთხო ფიზიკურ და გეოგრაფიულ არეალში. გასათვალისწინებელია მათი დაბალი შემოსავლიც. ასევე, სერვისები უნდა იყოს მისაღები, რაც ნიშნავს, რომ ისინი უნდა აკმაყოფილებდეს ხარისხის სტანდარტულ დონეს და იყოს გენდერის, ასაკისა და კულტურის თვალსაზრისით სენსიტიური.

36. ინდივიდუალიზებული მხარდაჭერის მომსახურებები, რომლებიც არ იძლევა პირადი არჩევანისა და თვითკონტროლის საშუალებას, არ უზრუნველყოფს საზოგადოებაში დამოუკიდებლად ცხოვრების საშუალებას. საცხოვრებლისა და მხარდაჭერის კომბინირებულ სერვისს (როგორც კომბინირებულ „პაკეტს“) ხშირად შშმ პირებს სათავაზობენ, პირობითად, ხარჯთეფექტურობის გათვალისწინებით. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ ეს პირობა შეიძლება გაბათილდეს ეკონომიკური თვალსაზრისით, ხარჯთეფექტურობის ასპექტები არ უნდა ლახავდეს ადამიანის უფლებათა ძირითად არსს. შშმ პირებს, წესით, არ უნდა მოეთხოვებოდეთ პირადი დახმარებისა და დამხმარეების გაზიარება. არჩევანის თავისუფლება ერთ-ერთია საზოგადოებაში დამოუკიდებლად ცხოვრების უფლების სამი საკვანძო ელემენტიდან.

37. თანაბარი მხარდაჭერის სერვისებზე წვდომა შეესაბამება საზოგადოებრივ ობიექტებსა და მომსახურებებთან დაკავშირებულ პროცესებში შშმ პირთა ჩართვისა და მონაწილეობის ვალდებულებას, რათა ისინი იყოს სპეციფიკური მოთხოვნილებების შესაბამისი, გენდერული და ასაკობრივი თვალსაზრისით სენსიტიური, ასევე, ხელმისაწვდომი საზოგადოებრივ ცხოვრებაში შშმ პირთა სპონტანური მონაწილეობისათვის. ბავშვების დამოუკიდებლად ცხოვრებისა და საზოგადოებაში ჩართულობის ძირითადი არსი მოიცავს ოჯახში გაზრდის უფლებას.

## F. ძირითადი ელემენტები

38. კომიტეტს მნიშვნელოვნად მიაჩნია მე-19 მუხლის ძირითადი ელემენტების გამოვლენა, რათა ყველა მონაწილე სახელმწიფომ უზრუნველყოს სტანდარტული დონის მინიმალური მხარდაჭერა დამოუკიდებლად ცხოვრებისა და საზოგადოებაში ჩართულობის უფლებით სარგებლობისათვის. მათი ძალისხმევით, მე-19 მუხლის ძირითადი ელემენტები ყოველთვის უნდა იყოს დაცული, განსაკუთრებით, ფინანსური და ეკონომიკური კრიზისის დროს. ეს ელემენტებია:

- (a) ყველა შშმ პირისათვის სამართლებრივი ქმედუნარიანობის უზრუნველყოფა კომიტეტის №1 ზოგადი კომენტარის შესაბამისად, რათა თვითონ გადაწყვიტონ, თუ სად, ვისთან ერთად და როგორ იცხოვრებენ, დარღვევის მიუხედავად;
- (b) დისკრიმინაციის დაუშვებლობა ბინაზე წვდომაში, მათ შორის, ორივე ელემენტის - როგორც შემოსავლის, ისე მისაწვდომობის - გათვალისწინებით; სავალდებულო სამშენებლო რეგულაციების მიღება, რომლებიც იძლევა ახალი და განახლებული ბინების მისაწვდომობის საშუალებას;
- (c) კონკრეტული სამოქმედო გეგმის შემუშავება შშმ პირის დამოუკიდებლად ცხოვრებისათვის საზოგადოებაში; ზომების მიღება საზოგადოებაში მათი დამოუკიდებლად ცხოვრების ფორმალური მხარდაჭერის ხელშესაწყობად, ისე, რომ ოჯახის მხრიდან ფორმალური მხარდაჭერა არ იყოს ამის ერთადერთი გზა;
- (d) სოციალური თანასწორობის მისაღწევად, სანქციების შემუშავება, დანერგვა და მონიტორინგი ისეთი კანონმდებლობის, გეგმებისა და მითითებების შეუსაბამობაზე, რომლებიც შეეხება ძირითადი სერვისების მისაწვდომობას. შშმ პირთა მონაწილეობა სოციალურ მედიაში და უსაფრთხო შესაბამისი კომპეტენცია ინფორმაციისა და კომუნიკაციების ტექნოლოგიებში; ასეთი ტექნოლოგიების შემუშავება უნივერსალური დიზაინის საფუძველზე და მათი დაცვა;
- (e) კონკრეტული სამოქმედო გეგმის შემუშავება და ზომების მიღება ძირითადი, პერსონიზებული, გაუზიარებელი და უფლებებზე დაფუძნებული სპეციფიკური მხარდაჭერის სერვისებისა და სხვა ტიპის მომსახურებების დასაწერად;
- (f) მე-19 მუხლის მიზნებისთვის უკუძალის დაუშვებლობა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ასეთი ზომები სათანადოდ დასაბუთებულია და შეესაბამება სართაშორისო სამართალს;
- (g) შესაბამისი ხარისხობრივი და რაოდენობრივი მონაცემების შეგროვება შშმ პირებზე, მათ შორის, რომლებიც ჯერ კიდევ ინსტიტუციურ დაწესებულებებში ცხოვრობენ;
- (h) ნებისმიერი ხელმისაწვდომი დაფინანსების გამოყენება. მათ შორის იგულისხმება რეგიონული დაფინანსება და დაფინანსება თანამშრომლობის, ასევე, ინკლუზიური და მისაწვდომი დამოუკიდებელი საცხოვრებელი სერვისების განსავითარებლად.

## III. მონაწილე სახელმწიფოების ვალდებულება

39. მონაწილე სახელმწიფოების ვალდებულება უნდა ასახავდეს ადამიანის უფლებათა ბუნებას - ან როგორც აბსოლუტურს და დაუყოვნებლივ მოქმედს (სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები), ან პროგრესირებადად მოქმედს (ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებები). 19(a) მუხლი - „ადამიანის უფლება, თავად შეარჩიოს საცხოვრებელი ადგილი და სად, როგორ და ვისთან სურს ცხოვრება“ - დაუყოვნებლივ მოქმედია, რადგან არის სამოქალაქო და პოლიტიკური უფლება; 19(b) მუხლი - „საზოგადოებრივი დამხმარე მომსახურების მისაწვდომობა, ინდივიდუალური დახმარების ჩათვლით“ - ეკონომიკური და კულტურული უფლებაა; ხოლო 19(c) მუხლი - „საზოგადოებრივი სარგებლობის მომსახურებისა ობიექტების თანაბარი მისაწვდომობა“ - გახლავთ ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლება. ბევრი ჩვეულებრივი მომსახურება, როგორცაა მისაწვდომი ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიები, ვებგვერდები, სოციალური მედია, კინოები, საზოგადოებრივი პარკები, თეატრები და სპორტული ობიექტები, მოიცავს როგორც სოციალურ, ისე კულტურულ მიზნებს. პროგრესირებადი განხორციელება ადგენს კონკრეტული სტრატეგიების, სამოქმედო გეგმებისა და რესურსების შემუშავება-მიღების უშუალო

ვალდებულებას მხარდაჭერის სერვისების განსავითარებლად, აგრეთვე, როგორც არსებული, ისე ახალი სერვისების ინკლუზიურად გარდაქმნას შშმ პირებისათვის.

40. პატივისცემის ვალდებულებას არ აქვს მხოლოდ უარყოფითი ასპექტი; მისი დადებითი ასპექტები მონაწილე სახელმწიფოებს ავალდებულებს ყველა აუცილებელი ზომის მიღებას, რათა სახელმწიფო და კერძო ერთეულებმა არ დაარღვიონ მე-19 მუხლში დაცული უფლებები.

41. ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების პროგრესირებადი განხორციელებისთვის, მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ზომები ხელმისაწვდომი რესურსების გასაზრდელად<sup>5</sup>, დაუყოვნებლივ და დროის გონივრულ პერიოდში. ასეთი ზომები უნდა დაიგეგმოს, იყოს კონკრეტული, მიზანმიმართული და იყენებდეს ყველა შესაბამის საშუალებას.<sup>6</sup> საზოგადოებაში დამოუკიდებლად ცხოვრების უფლების სისტემატური განხორციელება საჭიროებს სტრუქტურულ ცვლილებებს. კერძოდ, ეს ეხება დეინსტიტუციონალიზაციას ყველა ფორმით.

42. მონაწილე სახელმწიფოებს აქვთ ვალდებულება, დაუყოვნებლივ დაიწყონ სტრატეგიული დაგეგმარება, შესაფერისი ვადებითა და რესურსებით, ასევე, შშმ პირთა წარმომადგენლობით ორგანიზაციებთან მჭიდრო კონსულტაციებით, რათა ინსტიტუციური დაწესებულებები ჩანაცვლდეს დამოუკიდებელი ცხოვრების მხარდაჭერი მომსახურებებით. მონაწილე სახელმწიფოთა თავისუფალი მიხედვლების ფარგლები უკავშირდება პროგრამულ დანერგვას, მაგრამ არა ჩანაცვლების საკითხს. მათ უნდა შეიმუშაონ გარდამავალი გეგმები შშმ პირებთან პირდაპირი კონსულტაციებით (წარმომადგენლობითი ორგანიზაციების შუამავლობით), რათა უზრუნველყონ შშმ პირთა სრული ინკლუზია საზოგადოებაში.

43. როდესაც მონაწილე სახელმწიფო ცდილობს რეტროგრესიული ზომების მიღებას მე-19 მუხლთან დაკავშირებით (მაგ.: ეკონომიკური ან ფინანსური კრიზისის საპასუხოდ), იგი ვალდებულია, დაადასტუროს, რომ ასეთი ზომები არის დროებითი, აუცილებელი, არადისკრიმინაციული, და ითვალისწინებს სახელმწიფოს უმთავრეს ვალდებულებებს.<sup>7</sup>

44. პროგრესირებადი განხორციელების ვალდებულება წარმოშობს რეტროგრესიული ზომების მიღების საწინააღმდეგო ვარაუდებს ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებებით სარგებლობასთან მიმართებით. ასეთი ზომები შშმ პირებს ართმევს დამოუკიდებლად ცხოვრებისა და საზოგადოებაში ჩართულობის უფლების სრული რეალიზების შესაძლებლობას. შედეგად, რეტროგრესიული ზომები არღვევს მე-19 მუხლს.

45. მონაწილე სახელმწიფოებს ეკრძალებათ რეტროგრესიული ზომების მიღება საზოგადოებაში დამოუკიდებლად ცხოვრების უფლების ძირითად ვალდებულებებთან დაკავშირებით, როგორც განსაზღვრულია წინამდებარე ზოგად კომენტარში.

46. მონაწილე სახელმწიფოებს აკისრიათ უშუალო ვალდებულება, რომ აღმოფხვრან შშმ პირების ან ჯგუფების მიმართ დისკრიმინაცია და მათ სხვების თანასწორად მისცენ დამოუკიდებლად ცხოვრებისა და საზოგადოებაში მონაწილეობის უფლება. ამისათვის მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა გააუქმონ ან შეცვალონ ის პოლიტიკა, კანონები და პრაქტიკა, რომლებიც ხელს უშლის შშმ პირებს, რომ, მაგალითად, აარჩიონ საცხოვრებელი ადგილი, ჰქონდეთ ხელმისაწვდომი და მისაწვდომი ბინა, იქირაონ საცხოვრისი, წვდომა ჰქონდეთ ჩვეულებრივ ობიექტებსა და

<sup>5</sup> იხ. ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების საერთაშორისო პაქტი, მუხლი 2(1), და კონვენცია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ, მუხლი 4(2).

<sup>6</sup> იხ. ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების კომიტეტი, ზოგადი კომენტარი №3, პუნქტი 2.

<sup>7</sup> ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების კომიტეტის თავმჯდომარის 2012 წლის 16 მაისით დათარიღებული წერილი სახელმწიფოებისადმი, რომლებიც არიან ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების საერთაშორისო პაქტის მონაწილეები, ხელმისაწვდომია: [http://tbinternet.ohchr.org/\\_layouts/treatybodyexternal/Download.aspx?symbolno=INT%2fCESCR%2fSUS%2f6395&Lang=en](http://tbinternet.ohchr.org/_layouts/treatybodyexternal/Download.aspx?symbolno=INT%2fCESCR%2fSUS%2f6395&Lang=en).

მომსახურებებზე, დამოუკიდებლობაზე მათი მოთხოვნების შესაბამისად. გონივრული მისადაგების ვალდებულებაზე (მუხლი 5 (3)) ასევე არ ვრცელდება პროგრესირებადი განხორციელება.

### A. პატივისცემის ვალდებულება

47. პატივისცემის ვალდებულების მიხედვით, მონაწილე სახელმწიფოებმა თავი უნდა შეიკავონ ისეთი ქმედებებისაგან, როგორცაა პირდაპირი ან ირიბი ჩარევა დამოუკიდებლად ცხოვრებისა და საზოგადოებაში ჩართულობის უფლებით სარგებლობაში, ან მისი ნებისმიერი სახით შეზღუდვა. სახელმწიფოებმა არავის უნდა უთხრან უარი საზოგადოებაში დამოუკიდებლად ცხოვრებაზე, მათ შორის, ისეთი კანონებით, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად ზღუდავენ შშმ პირთა ავტონომიას ან შესაძლებლობას, აარჩიონ საცხოვრებელი ადგილი, ან სად, როგორ და ვისთან ერთად იცხოვრებენ. მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა ჩაატარონ იმ კანონების რეფორმა, რომლებიც ხელს უშლის მე-19 მუხლში დაცული უფლებებით სარგებლობას.

48. ვალდებულება მონაწილე სახელმწიფოებისაგან ასევე მოითხოვს, რომ გააუქმონ ან თავი შეიკავონ ისეთი კანონების, პოლიტიკისა და სტრუქტურების ამოქმედებისაგან, რომლებიც ინარჩუნებს/უქმნის ბარიერებს მხარდაჭერაზე, საჯარო ობიექტებსა და მომსახურებებზე წვდომას. ამის შედეგი იქნება ყველა იმ პირის გათავისუფლება, რომლებსაც ფსიქიკური ჯანმრთელობის დაწესებულებებში ან სხვა სპეციფიკური ფორმებით აქვთ შეზღუდული თავისუფლება საკუთარი ნების საწინააღმდეგოდ. ვალდებულება ასევე მოიცავს ყველა ფორმის მეურვეობის აკრძალვას და მესამე პირის მიერ მიღებული გადაწყვეტილების ჩანაცვლებას მხარდაჭერით მიღებული გადაწყვეტილებით.

49. მე-19 მუხლის შესაბამისად, შშმ პირთა უფლებების პატივისცემა ნიშნავს, დეინსტიტუციონალიზაციას მონაწილე სახელმწიფოთა მხრიდან. მათ აღარ უნდა ააშენონ ახალი ინსტიტუციური დაწესებულებები, არც ძველი დაწესებულებების გასარემონტებლად უნდა მიიღონ ზომები (რეზიდენტთა ფიზიკური უსაფრთხოებისთვის საჭირო დაუყოვნებელი ზომების გარდა). ინსტიტუციური დაწესებულებები არ უნდა გაფართოვდეს, იქ არ უნდა შეიყვანონ ახალი ბინადრები, როდესაც სხვები დატოვებენ დაწესებულებას, და არ უნდა ჩამოყალიბდეს „სატელიტური“ საცხოვრებელი პირობები, რომლებიც გარდაიქმნება (იღებს ინდივიდუალური საცხოვრებლის სახეს (მაგ.: აპარტამენტები ან ცალკეული სახლები)), მაგრამ მაინც ინსტიტუციური დაწესებულებების გარშემო ბრუნავენ.

### B. დაცვის ვალდებულება

50. დაცვა მონაწილე სახელმწიფოებს ავალდებულებს ზომების მიღებას, რომ თავიდან აიცილონ ოჯახის წევრებისა და მესამე მხარეების პირდაპირი ან ირიბი ჩარევა დამოუკიდებლად ცხოვრების უფლებით სარგებლობაში. დაცვის ვალდებულება მონაწილე სახელმწიფოებისაგან ითხოვს იმ კანონებისა და პოლიტიკის დანერგვას, რომლებიც კრძალავს ოჯახის წევრებისა და მესამე მხარეების, მომსახურების მიმწოდებლების, მიწის მფლობელებისა და ზოგადი სერვისების პროვაიდერთა ქმედებებს, რომლებიც საფრთხეს უქმნის საზოგადოებაში დამოუკიდებლად ცხოვრების უფლებით სარგებლობას.

51. მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ კერძო ან საზოგადოებრივი თანხები არ დაიხარჯოს ინსტიტუციონალიზაციის შენარჩუნებაზე, ასევე, ინსტიტუციური დაწესებულების გარემონტებაზე, მშენებლობასა ან ნებისმიერი ფორმით შექმნაზე. გარდა ამისა, მონაწილე სახელმწიფოთა ძალისხმევით, კერძო ინსტიტუტები არ უნდა შეიქმნას „თემის საცხოვრებლის“ დასახელების ქვეშ.

52. მხარდაჭერა ყოველთვის უნდა ეფუძნებოდეს ინდივიდუალურ მოთხოვნებს და არა სერვისპროვაიდერის ინტერესებს. მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა შექმნან სერვისის მიმწოდებლებზე მონიტორინგის მექანიზმები და მიიღონ ზომები, რომლებიც შშმ პირებს დაიცავს ოჯახსა ან ინსტიტუციურ დაწესებულებებში იზოლაციისაგან, ბავშვებს კი - მიტოვებისა ან შეზღუდული შესაძლებლობის საფუძვლით ინსტიტუციონალიზაციისაგან; ასევე, შეიმუშაონ სათანადო მექანიზმები შშმ პირთა მიმართ ძალადობის გამოსავლენად. მონაწილე სახელმწიფოებმა

რეზიდენტული ინსტიტუტების დირექტორებს და/ან მენეჯერებს უნდა აუკრძალონ ბინადრებზე მეურვეობა.

53. დაცვის ვალდებულება ასევე მოიცავს დისკრიმინაციული პრაქტიკის აკრძალვას, როგორცაა პირების ან ჯგუფების გარიყვა კონკრეტული მომსახურების გაწევისაგან. მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა აკრძალონ და ხელი შეუშალონ დამოუკიდებლად ცხოვრებისა და საზოგადოებაში ჩართულობის პრაქტიკული თუ პროცედურული ბარიერების დაწესებას მესამე მხარეების მიერ (მაგ.: იმით, რომ გაწეული მომსახურებები შეესაბამება საზოგადოებაში დამოუკიდებლად ცხოვრებას, შშმ პირებს ხელი არ ეშლებათ ბინის დაქირავებაში, ან საბინაო ბაზარზე არ აქვთ წამგებიანი პოზიცია). საზოგადოებისთვის ღია ზოგადი მომსახურებები, როგორცაა ბიბლიოთეკები, საცურაო აუზები, საჯარო პარკები/სივრცეები, მაღაზიები, ფოსტა და კინო, მისაწვდომი უნდა იყოს შშმ პირებისათვის და პასუხობდეს მათ მოთხოვნილებებს, როგორც განსაზღვრულია კომიტეტის №2 (2014) ზოგად კომენტარში მისაწვდომობის შესახებ.

### C. შესრულების ვალდებულება

54. შესრულების ვალდებულება მონაწილე სახელმწიფოებისაგან ითხოვს: შესაბამის საკანონმდებლო, ადმინისტრაციულ, საბიუჯეტო, სასამართლო, პროგრამულ, ხელშეწყობ და სხვა ზომებს დამოუკიდებლად ცხოვრებისა და საზოგადოებაში ჩართულობის უფლების სრული რეალიზაციისათვის; ასევე, ამ უფლებით სარგებლობის პრაქტიკული ბარიერების აღმოფხვრას, როგორცაა, მაგალითად: მიუწვდომელი საცხოვრებელი; შეზღუდული წვდომა შშმ პირთა მხარდაჭერ სერვისებზე; მიუდგომელი ობიექტები, საქონელი და მომსახურება საზოგადოებაში; და შშმ პირთა მიმართ ცრურწმენები.

55. მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა გააძლიერონ ოჯახის წევრები, რათა მათ ხელი შეუწყონ შშმ წევრებს დამოუკიდებლად ცხოვრებისა და საზოგადოებაში ჩართულობის უფლებით სარგებლობაში.

56. კანონმდებლობის, პოლიტიკისა და პროგრამების განხორციელებისას, მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა გაიარონ კონსულტაციები და სხვადასხვა შშმ პირი, მათი წარმომადგენლობითი ორგანიზაციების მეშვეობით, აქტიურად ჩართონ დამოუკიდებლად ცხოვრების ნებისმიერ ასპექტში. ეს ეხება მხარდაჭერი სერვისების განვითარებასა და დამხმარე სერვისებში რესურსების ინვესტირებასაც.

57. მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა შეიმუშაონ დეინსტიტუციონალიზაციის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა. ისინი უნდა მოიცავდეს სტრუქტურული რეფორმების დანერგვის ვალდებულებას შშმ პირთა მისაწვდომობის გასაუმჯობესებლად საზოგადოებაში, ასევე, მისი ყველა წევრის ცნობიერების ამაღლებას საზოგადოებრივ ცხოვრებაში შშმ პირთა ინკლუზიის შესახებ.

58. დეინსტიტუციონალიზაცია ასევე მოითხოვს სისტემატურ ცვლილებებს, რაც მოიცავს ინსტიტუციური დაწესებულებების დახურვასა და ინსტიტუციონალიზაციის რეგულაციების აღმოფხვრას (როგორც ყოვლისმომცველი სტრატეგიის ნაწილს). ეს უნდა მოხდეს ფართო სპექტრის ინდივიდუალიზებული მხარდაჭერის სერვისების შექმნის პარალელურად, რაც გულისხმობს ინდივიდუალიზებულ გეგმების შემუშავებას გარდამავალი ეტაპისათვის, თავისი ბიუჯეტებითა და ვადებით, აგრეთვე ინკლუზიური მხარდაჭერის სერვისებით. შესაბამისად, აუცილებელია კოორდინირებული სახელისუფლო მიდგომა, რომელიც უზრუნველყოფს რეფორმებს, ბიუჯეტებსა და მიდგომების შესაბამის ცვლილებებს ყველა დონეზე და ხელისუფლების ყველა სექტორში.

59. პროგრამები და უფლება საზოგადოებაში დამოუკიდებლად ცხოვრების მხარდაჭერაზე უნდა ფარავდეს შეზღუდულ შესაძლებლობებთან დაკავშირებულ ხარჯებს. დეინსტიტუციონალიზაციისათვის აუცილებელია მისაწვდომი და ხელმისაწვდომი ბინების (რაც ასევე მოიცავს ბინებს ოჯახებისათვის) საკმარისი რაოდენობით უზრუნველყოფაც. ასევე მნიშვნელოვანია, რომ წვდომა ბინაზე არ იყოს განპირობებული მოთხოვნილებებით, რაც ამცირებს შშმ პირთა ავტონომიასა და დამოუკიდებლობას. საზოგადოებისათვის ღია შენობები და სივრცეები და ყველა ფორმის ტრანსპორტი უნდა დაგეგმარდეს ისე, რომ მიესადაგებოდეს ყველა შშმ პირის საჭიროებებს. მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ წინასწარ დაგეგმილი და დაუყოვნებელი

ზომები, რომ დაფინანსება გადაამისამართონ საზოგადოებაში შშმ პირთა დამოუკიდებლად ცხოვრების უფლების რეალიზაციაზე.

60. შეზღუდულ შესაძლებლობებთან დაკავშირებული მომსახურებები უნდა იყოს ხელმისაწვდომი, მისაწვდომი, მისაღები და ყველა შშმ პირზე მორგებული, ითვალისწინებდეს საცხოვრებელ პირობებს (როგორცაა ინდივიდუალური ან საოჯახო შემოსავალი), ასევე, ინდივიდუალურ გარემოებებს (მაგ.: სქესი, ასაკი, ეროვნული ან ეთნიკური წარმოშობა და ენობრივი, სექსუალური და/ან გენდერული იდენტობა). ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული შეზღუდული შესაძლებლობის მოდელი კრძალავს შშმ პირთა გარიყვას ნებისმიერი მიზეზით, საჭირო მხარდაჭერის სერვისების ტიპისა და რაოდენობის მიუხედავად. მხარდაჭერის სერვისები, მათ შორის, პირადი დახმარება, არ უნდა იყოს გაზიარებული სხვებთან, პირის თავისუფალი და ინფორმირებული თანხმობის გარეშე.

61. მონაწილე სახელმწიფოებმა მხარდაჭერაზე წვდომისათვის შესაბამისობის კრიტერიუმში უნდა გააერთიანონ შემდეგი ელემენტები: შეფასება ეყრდნობოდა შშმ პირთა უფლებებზე დაფუძნებულ მიდგომას; ფოკუსირება ადამიანის მოთხოვნილებებზე, რომლებიც განპირობებულია საზოგადოებაში არსებული ბარიერებით, და არა დარღვევებით; ადამიანის ნებისა და პრიორიტეტების გათვალისწინება და მიყოლა; შშმ პირების სრული ჩართულობა გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში.

62. ფულადი ბენეფიტები, როგორცაა შეზღუდული შესაძლებლობის შემწეობა, ერთ-ერთი ის ფორმაა, რომლითაც მონაწილე სახელმწიფოები უზრუნველყოფენ შშმ პირთა მხარდაჭერას კონვენციის მე-19 და 28-ე მუხლების შესაბამისად. ასეთი ბენეფიტები ცნობს შეზღუდულ შესაძლებლობებთან დაკავშირებულ ხარჯებს და ხელს უწყობს შშმ პირთა სრულ ინკლუზიას საზოგადოებაში. ფულადი ბენეფიტები უმკლავდება სიღარიბისა და განსაკუთრებული სიღარიბის სიტუაციებსაც, რომლებშიც შეიძლება აღმოჩნდნენ შშმ პირები. ეკონომიკური ან ფინანსური კრიზისის დროს, მონაწილე სახელმწიფოებმა შშმ პირთა ისედაც რთული მიდგომარეობა არ უნდა გააუარესონ მათი შემოსავლის შემცირებით, ან მკაცრი ეკონომიკური ზომებით, რომლებიც არ შეესაბამება 38-ე პუნქტში ჩამოყალიბებულ ადამიანის უფლებათა სტანდარტებს.

63. შშმ პირთა მხარდაჭერა უნდა შეფასდეს პერსონიზებული მიდგომით და სპეციალიზებული იყოს კონკრეტულ აქტივობებზე, ასევე, შშმ პირთა საზოგადოებაში ჩართულობის ფაქტობრივ ბარიერებზე. შეფასება უნდა აღიარებდეს, რომ შშმ პირები საჭიროებენ წვდომას აქტივობებში მონაწილეობაზე, რომლებიც დროთა განმავლობაში იცვლება. მონაწილე სახელმწიფოთა ძალისხმევით, მხარდაჭერის პერსონალიზაცია, მათ შორის, ფულადი ბენეფიტები/პირადი ბიუჯეტი, უნდა ითვალისწინებდეს და არეგულირებდეს სოფლად და/ან ქალაქში მცხოვრებ შშმ პირთა წინაშე არსებულ გამოწვევებს.

64. მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ და გააზრცილონ დროული, განახლებული და ზუსტი ინფორმაცია, რაც აუცილებელია ინფორმირებული გადაწყვეტილებს მისაღებად, დამოუკიდებელ ცხოვრებაზე არჩევანის გასაკეთებლად და მხარდაჭერის სერვისებით სარგებლობისათვის. ეს ინფორმაცია უნდა იყოს მისაწვდომ ფორმატში, როგორცაა ბრაილი, ნიშნების ენა, ტაქტილური და მარტივად წასაკითხი ფორმატები და კომუნიკაციის ალტერნატიული და დამხმარე რეჟიმები.

65. მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ პირები, რომლებიც მუშაობენ ან აპირებენ მუშაობას შეზღუდულ შესაძლებლობებთან დაკავშირებულ სერვისებში, მათ შორის, მომსახურე პერსონალი, გადაწყვეტილების მიმღები პირები და ის საჯარო პირები, რომლებიც მონიტორინგს უწევენ შშმ პირთა მომსახურებას, იყვნენ შესაბამისად გაწვრთნილი საზოგადოებაში დამოუკიდებლად ცხოვრების საკითხებში, თეორიასა და პრაქტიკაში. მე-19 მუხლის შესაბამისად, მათ უნდა ჩამოაყალიბონ კრიტერიუმები იმ დაწესებულებებისათვის, რომლებიც ნებართვას ითხოვენ შშმ პირთა საზოგადოებაში ცხოვრებისათვის სოციალური დახმარების მიწოდებაზე და შეაფასონ, როგორ ასრულებენ ისინი თავის მოვალეობებს. მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ კონვენციის 32-ე მუხლით გათვალისწინებულმა საერთაშორისო თანამშრომლობამ, ასევე, ინვესტიციებმა და პროექტებმა, აღმოფხვრან საზოგადოებაში დამოუკიდებლად ცხოვრების ბარიერები და ხელი შეუწყონ დამოუკიდებლად ცხოვრებისა და

საზოგადოებაში ჩართულობის უფლებით სარგებლობას. მნიშვნელოვანია, რომ ბუნებრივი კატასტროფების შემდეგ ბარიერები ხელახლა არ წარმოიქმნას.

66. მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ წვდომა მართლმსაჯულებაზე, სამართლებრივი დახმარება, შესაბამისი სამართლებრივი კონსულტაციები, საშუალებები და მხარდაჭერა, მათ შორის, გონივრული და პროცედურული მისადაგებით შშმ პირებზე, რომლებიც ცდილობენ, გააძლიერონ საზოგადოებაში დამოუკიდებლად ცხოვრების უფლება.

67. მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ შესაბამისი დახმარება ოჯახში მომვლელებისთვის, რათა მათ, თავის მხრივ, მხარი დაუჭირონ საკუთარ შვილს ან ნათესავს, რომ დამოუკიდებლად იცხოვროს საზოგადოებში. ეს მხარდაჭერა უნდა მოიცავდეს გადავადებული მოვლის, ბავშვთა მოვლისა და სხვა დამხმარე სერვისებს. ასევე უმნიშვნელოვანესია ფინანსური მხარდაჭერა ოჯახში მომვლელებისთვის, რომლებიც ხშირად ცხოვრობენ უკიდურესი სიღარიბის პირობებში, ისე, რომ არ აქვთ შრომის ბაზარზე წვდომის შესაძლებლობა. მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ სოციალური მხარდაჭერაც ოჯახებისათვის და ხელი შეუწყონ საკონსულტაციო სერვისებს, მხარდაჭერის წრეებსა და სხვა ადეკვატურ საშუალებებს.

68. მონაწილე სახელმწიფოებმა რეგულარულად უნდა ჩაატარონ კვლევები და ანალიზი. ეს უზრუნველყოფს მონაცემებს ფიზიკურ, საკომუნიკაციო, გარემოსდაცვით, ინფრასტრუქტურულ და მიდგომით ბარიერებზე, რომლებსაც აწყდებიან შშმ პირები, ასევე, საზოგადოებაში დამოუკიდებლად ცხოვრების მოთხოვნებზე.

#### IV. კონვენციის სხვა დებულებებთან მიმართება

69. დამოუკიდებელი ცხოვრებისა და საზოგადოებაში ჩართულობის უფლება უკავშირდება კონვენციით გათვალისწინებული სხვა უფლებებით სარგებლობას. ამავე დროს, ის უფრო მეტია, ვიდრე ამ უფლებათა ერთობლიობა, რადგან ადასტურებს, რომ საჭიროა ყველა უფლებით სარგებლობა იმ საზოგადოებაში, რომელშიც ადამიანი აირჩევს ცხოვრებას და თავისუფლად და სრულყოფილად შეძლებს თავითგანვითარებას.

70. საზოგადოებაში დამოუკიდებლად ცხოვრების უფლების განხორციელების ყველა გეგმისა და სტრატეგიის შემუშავებისას, ისევე, როგორც შემდგომი პროცესებისა და მონიტორინგის დროს, უკიდურესად მნიშვნელოვანია შშმ პირებთან კონსულტაცია და მათი აქტიური ჩართულობა წარმომადგენელი ორგანიზაციების მეშვეობით (მე-4 მუხლის მე-3 პუნქტი). გადაწყვეტილების მიღების ყველა დონეზე აუცილებელია შშმ პირთა ფართო სპექტრის სრულყოფილად ჩართვა, შშმ ქალების, შშმ ხანდაზმულების, შშმ ბავშვების, ფსიქოსოციალური საჭიროებებისა და ინტელექტუალური დარღვევების მქონე პირთა ორგანიზაციების ჩათვლით.

71. დამხმარე მომსახურების მისაწვდომობასა და მიღებასთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანია, დისკრიმინაციის დაუშვებლობა დამოუკიდებელი ცხოვრებისა და საზოგადოებაში ჩართვის კუთხით (მე-5 მუხლი). დამხმარე მომსახურების მისაწვდომობის პროცესში მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა განსაზღვრონ შერჩევის არადისკრიმინაციული, ობიექტური კრიტერიუმები და პროცედურები, რომლებიც, ადამიანის უფლებებზე მორგებული მიდგომის თანახმად, ორიენტირებული იქნება პირის მოთხოვნებზე, და არა მის დარღვევაზე. შშმ პირთა სპეციფიკური მომსახურება გარკვეული გარემოებების შესაბამისად და მათი მოთხოვნების გათვალისწინება (მაგ.: შშმ ბავშვებზე, სტუდენტებზე, დასაქმებულებსა და ხანდაზმულებზე მორგებული მომსახურება) უნდა ჩაითვალოს არა კონვენციის დისკრიმინაციულ დარღვევად, არამედ სამართლიან და სამართლებრივად არსებულ კონსტრუქციულ ქმედებად. შშმ პირებისათვის, რომლებიც მე-19 მუხლთან მიმართებით დისკრიმინაციას განიცდიან, უზრუნველყოფილი უნდა იყოს ეფექტიანი და ხელმისაწვდომი სამართლებრივი დაცვა.

72. ხშირ შემთხვევაში, პატერნისტური სტერეოტიპებისა და პატრიარქალური სოციალური ნორმების გამო, რომლებიც ქალების მიმართ დისკრიმინაციულია, შშმ ქალები და გოგონები (მე-6

მუხლი) უფრო გარიყულნი და იზოლირებულნი არიან და დამატებით შეზღუდვებს აწყდებიან - როგორც საცხოვრებელ ადგილთან, ისე საცხოვრებელ პირობებთან დაკავშირებით. შშმ ქალები და გოგონები განიცდიან გენდერულ, მრავალგვარ და ინტერსექციურ დისკრიმინაციას და არიან ინსტიტუციონალიზაციისა და ძალადობის, მათ შორის, სექსუალური ძალადობისა და შევიწროების მაღალი რისკის ქვეშ.<sup>8</sup> მონაწილე სახელმწიფოებმა ძალადობისა და ცუდი მოპყრობის მსხვერპლთათვის უნდა უზრუნველყონ ხელმისაწვდომი ან უფასო სამართლებრივი დაცვა და დამხმარე მომსახურება. ოჯახური ძალადობის მსხვერპლი შშმ ქალები, ხშირ შემთხვევაში, ეკონომიკურად, ფიზიკურად ან ემოციურად დამოკიდებულნი არიან მოძალადეებზე, რომლებიც მათი „მომვლელის“ როლს ასრულებენ. შედეგად, იქმნება სიტუაცია, რომელიც შშმ ქალებს ძალადობრივი ურთიერთობის მიტოვების საშუალებას არ აძლევს და განაპირობებს დამატებით სოციალურ იზოლაციას. ამდენად, დამოუკიდებელი ცხოვრებისა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობის უფლების განხორციელებისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს გენდერულ თანასწორობას, ასევე, გენდერული დისკრიმინაციისა და პატრიარქალური სოციალური ნორმების აღმოფხვრას.

73. კულტურული ნორმები და ღირებულებები შეიძლება: ზღუდავდეს და განსაზღვრავდეს შშმ ქალებისა და გოგონების საცხოვრებელ პირობებს, მათ ავტონომიას; აიძულებდეს კონკრეტულ საცხოვრებელ პირობებში ცხოვრებას და საკუთარი მოთხოვნების ჩახშობას; ავალდებულებდეს სხვების საჭიროებათა გათვალისწინებასა და ოჯახში გარკვეული როლის შესრულებას.<sup>9</sup> მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ზომები, რომლებიც ემსახურება დისკრიმინაციის, ასევე, სოციალური მომსახურებისა და მხარდაჭერის მისაწვდომობის მხრივ არსებული ბარიერების აღმოფხვრას ქალებისათვის. მათი ძალისხმევით, სხვადასხვა პოლიტიკა, პროგრამა და სტრატეგია, რომლებიც ეხება წვდომას სოციალურ მომსახურებასა და მხარდაჭერაზე, სათანადოდ უნდა ითვალისწინებდეს ქალთა და მამაკაცთა თანასწორობას.

74. მონაწილე სახელმწიფოებმა ასევე უნდა უზრუნველყონ, რომ შშმ ქალებისა და გოგონების განვითარებაზე, გაძლიერებასა და წინსვლაზე (მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი) ორიენტირებული ზომები მიემართებოდეს გენდერული უთანასწორობის აღმოფხვრას მხარდაჭერისა და სოციალური დაცვის მისაწვდომობის კუთხით. მონაწილე სახელმწიფოებმა სამუშაოსა და პირად ცხოვრებას შორის ბალანსის დასაცავად (რესურსების, დროის, მომსახურების გათვალისწინებით), უნდა მიიღონ სათანადო ზომები, რომლებიც ხელს შეუწყობს შშმ ქალთა შესვლას (ან დაბრუნებას) შრომის ღია ბაზარზე, ასევე, მშობლის მოვალეობათა შესრულებისას ქალთა და მამაკაცთა თანასწორობას უფლებებისა და ვალდებულებების მხრივ.<sup>10</sup> მონაწილე სახელმწიფოების ვალდებულებაა გენდერული ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრების სრული მისაწვდომობაც შშმ ქალებისა და გოგონებისათვის.

75. შშმ გოგონებისა და ბიჭებისათვის შესაფერის და ასაკის შესაბამის დამხმარე მომსახურებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ადამიანის უფლებებით თანასწორი სარგებლობისათვის (მე-7 მუხლი). ასევე ძალიან მნიშვნელოვანია შშმ ბავშვების განვითარებადი შესაძლებლობების მხარდაჭერა და არჩევანის გაკეთების ხელშეწყობა მათზე გავლენის მქონე შემთხვევებში. გარდა ამისა, დიდი როლი აქვს ოჯახების დახმარებას, ინფორმირებასა და ხელმძღვანელობას (23-ე მუხლი) შშმ ბავშვთა ინსტიტუციონალიზაციის პრევენციისათვის, ასევე, შვილად აყვანის ინკლუზიური პროცესის უზრუნველსაყოფად, რომელიც შშმ ბავშვებს თანასწორ შესაძლებლობებს შეუქმნის.

76. როდესაც საქმე ეხება სოციალურ ინტერაქციასა და თანატოლებთან ურთიერთობას, პირად დახმარებასა და ჟესტების ენის თარჯიმანთან შედარებით, მოზარდებმა შეიძლება უპირატესობა მიანიჭონ ნათესავების მხრიდან არაფორმალურ მხარდაჭერას. მონაწილე სახელმწიფოებმა შშმ ბავშვებსა და მოზარდებთან პირადი კონტაქტის ან წარმომადგენელ ორგანიზაციებთან კომუნიკაციის მეშვეობით, უნდა ჩამოაყალიბონ მხარდაჭერისა და მისაწვდომობის ინოვაციური ფორმები. შშმ ბავშვებს შესაძლოა სპეციალური მხარდაჭერა სჭირდებოდეთ თანატოლებთან ერთად სპორტსა და სხვა საზოგადოებრივ აქტივობაში ჩართვის კუთხით. შშმ მოზარდებს უნდა ჰქონდეთ

<sup>8</sup> იხ. შშმ პირთა უფლებების კომიტეტის ზოგადი კომენტარი №3 (2016) შშმ ქალებისა და გოგონების შესახებ.

<sup>9</sup> იქვე, პუნქტები: 8, 18, 29 და 55.

<sup>10</sup> იხ. ქალთა დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის ზოგადი რეკომენდაცია №21 (1994) ქორწინებასა და ოჯახურ ურთიერთობებში თანასწორობის შესახებ



თანატოლებთან დროის გატარებისა და დასვენების საშუალება. მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ ისეთი დამხმარე მოწყობილობები და ტექნოლოგია, რომლებიც ხელს შეუწყობს შშმ მოზარდების ჩართვას თანატოლთა ქსელებში. გარდა ამისა, დამოუკიდებელი ცხოვრების მხარდაჭერაში მნიშვნელოვანია ისეთი მომსახურება, რომელიც ეხმარება ახალგაზრდების გადასვლას ზრდასრულ ცხოვრებაში, მათ შორის, ოჯახიდან გადასვლას დასაქმებასა და სწავლის უმაღლეს საფეხურზე.

77. ღია, მხარდამჭერი და ინკლუზიური საზოგადოების შესაქმნელად, აუცილებელია ცნობიერების ამაღლება (მე-8 მუხლი), რადგან მე-19 მუხლი, საბოლოო ჯამში, საზოგადოების ცვლილებას ემსახურება. უნდა აღმოიფხვრას სტერეოტიპები, ეიბლიზმი და ცრურწმენები, რომლებიც შშმ პირებს დამოუკიდებელ ცხოვრებაში უშლის ხელს, და ხელი შეეწყოს ამ პირების, ასევე, საზოგადოებაში მათი წვლილის დადებით ჭრილში წარმოჩენას. ცნობიერების ამაღლება აუცილებელია ყველა მხარისათვის: ხელისუფლება, საჯარო მოსამსახურეები, პროფესიონალები, მედია, ფართო საზოგადოება, შშმ პირები და მათი ოჯახები. ცნობიერების ამაღლებაზე ორიენტირებული ყველა აქტივობა უნდა განხორციელდეს შშმ პირებთან მჭიდრო თანამშრომლობით და მათი წარმომადგენელი ორგანიზაციების დახმარებით.

78. მე-19 მუხლით გათვალისწინებული მისაწვდომობის უფლებები უკავშირდება მონაწილე სახელმწიფოთა ვალდებულებას (მე-9 მუხლი), რადგან გარემოს, ტრანსპორტის, ინფორმაციის, კომუნიკაციის, საჯარო და ღია ობიექტებისა და მომსახურების ზოგადი მისაწვდომობა საზოგადოებაში დამოუკიდებელი ცხოვრების წინაპირობაა. მე-9 მუხლი მოითხოვს საზოგადოებისთვის ღია შენობებში არსებული ბარიერების გამოვლენასა და აღმოფხვრას. ეს გულისხმობს, რომ უნდა გადაიხედოს შენობებისა და ურბანული დაგეგმარების კოდეზი, ასევე, სხვადასხვა სექტორში დაინერგოს უნივერსალური დიზაინი და საცხოვრისის მისაწვდომობის სტანდარტები.

79. მონაწილე სახელმწიფოებმა წინასწარ უნდა გაითვალისწინონ სარისკო და საგანგებო ჰუმანიტარულ სიტუაციებში შშმ პირთა დამხმარე მომსახურების ვალდებულება (მე-11 მუხლი), რათა არ დაივიწყონ ან მიატოვონ ისინი. ასევე, მნიშვნელოვანია, რომ შეიარაღებული კონფლიქტის, საგანგებო ჰუმანიტარული სიტუაციისა და ბუნებრივი კატასტროფების დროს ხელახლა არ წარმოიშვას ბარიერები. რეკონსტრუქციის პროცესში შშმ პირებს სრული წვდომა უნდა ჰქონდეთ საზოგადოებაში დამოუკიდებლად ცხოვრებაზე.

80. სამართლის თანასწორ სუბიექტად აღიარება (მე-12 მუხლი) უზრუნველყოფს, რომ ყველა შშმ პირს ჰქონდეს: სამართლებრივი ქმედუნარიანობით სრულყოფილად სარგებლობის უფლება; უნარი, აირჩიოს და გააკონტროლოს, თუ სად, ვისთან და როგორ სურს ცხოვრება; და შესაძლებლობა, რომ მხარდაჭერა საკუთარი სურვილებისა და პრიორიტეტების მიხედვით მიიღოს. გადაწყვეტილების მხარდაჭერით მიღების პროცესში სრულყოფილი ტრანზიციისა და მე-12 მუხლით გათვალისწინებული უფლებების რეალიზაციისათვის, აუცილებელია, შშმ პირებს ჰქონდეთ საკუთარი სურვილებისა და პრიორიტეტების განვითარებისა და გამოხატვის უფლება, რათა სხვების თანასწორად შეძლონ სამართლებრივი ქმედუნარიანობით სარგებლობა. ამის მისაღწევად, ისინი საზოგადოების ნაწილად უნდა იქცნენ. გარდა ამისა, სამართლებრივი ქმედუნარიანობის განხორციელებაში მხარდაჭერა უზრუნველყოფილი უნდა იყოს საზოგადოებაზე დაფუძნებული მიდგომით, რომელიც პატივს სცემს შშმ პირთა სურვილებსა და პრიორიტეტებს.

81. საზოგადოებაში დამოუკიდებელი ცხოვრების უფლებით სარგებლობისათვის, უმნიშვნელოვანესია მართლმსაჯულების მისაწვდომობა, რომელსაც მე-13 მუხლი ითვალისწინებს. მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ყველა შშმ პირს მიენიჭოს სამართლებრივი ქმედუნარიანობა და სასამართლოს წინაშე წარდგომის უფლება. სახელმწიფოთა ძალისხმევით, შესაძლებელი უნდა იყოს ყველა იმ გადაწყვეტილების გასაჩივრება, რომლებიც ეხება საზოგადოებაში დამოუკიდებლად ცხოვრებას. დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობი მხარდაჭერა უნდა აღსრულდეს, როგორც უფლება და უფლებამოსილება. მართლმსაჯულების თანასწორი და ეფექტიანი მისაწვდომობისათვის, აუცილებელია სამართლებრივი დახმარების, მხარდაჭერისა და პროცედურული თუ ასაკის შესაბამისი მისადაგების საფუძვლიანი უფლება.

82. მე-14 მუხლის სახელმძღვანელოში კომიტეტი აღნიშნავს, რომ იძულებითი ინსტიტუციონალიზაცია დარღვევისა და მასთან დაკავშირებული გარემოებების გამო,

ნაგულისხმევი „საშიშროებისა“ და სხვა ფაქტორების ჩათვლით, ხშირად გამოწვეულია შეზღუდულ შესაძლებლობებზე მორგებული დამხმარე მომსახურების ნაკლებობით. შესაბამისად, მე-14 მუხლის დარღვევის პრევენცია შესაძლებელია მე-19 მუხლის დანერგვით.

83. უკიდურესად მნიშვნელოვანია, რომ დამხმარე მომსახურების ფარგლებში არ რჩებოდეს სივრცე შშმ პირთა ცუდი მოპყრობისა და ექსპლუატაციის, ან მათ მიმართ ნებისმიერი სახის ძალადობისათვის (მე-16 მუხლი). მე-19 მუხლით გათვალისწინებული მომსახურებით მოსარგებლე შშმ პირებისათვის, რომლებიც შეიძლება ცუდი მოპყრობის, ძალადობისა და ექსპლუატაციის მსხვერპლნი გახდნენ, უნდა არსებობდეს შეზღუდულ შესაძლებლობებზე, გენდერსა და ასაკზე მორგებული მონიტორინგი, ასევე, სამართლებრივი დაცვისა და ზიანის ანაზღაურების საშუალებები. ინსტიტუციები ხშირად იწვევს თავისი ბინადრების იზოლაციას საზოგადოებისგან. შესაბამისად, ინსტიტუციონალიზებული შშმ ქალები და გოგონები მეტად ექვემდებარებიან გენდერულ ძალადობას, მათ შორის, იძულებით სტერილიზაციას, სექსუალურ და ფიზიკურ ძალადობას, ემოციურ ძალადობასა და დამატებით იზოლაციას. ისინი ბარიერებს აწყდებიან მსგავს ძალადობაზე შეტყობინების კუთხითაც. აუცილებელია, ინსტიტუციებზე მონიტორინგისას სახელმწიფოებმა გაითვალისწინონ აღნიშნული საკითხები და შშმ ქალებს, რომლებიც ამ დაწესებულებებში გენდერული ძალადობის წინაშე დგანან, მისცენ თანასწორი წვდომა სამართლებრივი დაცვის საშუალებებზე.

84. ინდივიდუალური მობილურობის მხარდაჭერის (მე-20 მუხლი) გარეშე, ბევრი შშმ პირი საზოგადოებაში დამოუკიდებელი ცხოვრების ბარიერებს აწყდება. მე-20 მუხლით გათვალისწინებული მისაწვდომი და ხარისხიანი გადაადგილების საშუალებების, მოწყობილობებისა და დამხმარე ტექნოლოგიების, ასევე, დამხმარეებისა და შუამავლების უზრუნველყოფა შშმ პირებისათვის, საზოგადოებაში მათი სრულყოფილი ჩართულობისა და მონაწილეობის წინაპირობაა.

85. შშმ პირებს აქვთ უფლება, ჰქონდეთ საჯარო ინფორმაციაზე წვდომა მათთვის მისაწვდომ ფორმატში, ასევე, სხვების თანასწორად მოიძიონ, მიიღონ და გამოხატონ ინფორმაცია და იდეები (21-ე მუხლი). კომუნიკაცია უნდა წარმართოს მათ მიერ შერჩეული ფორმითა და ფორმატით. მათ შორის იგულისხმება: ბრაილი, ჟესტების ენა, ტაქტილური და ადვილად გასაგები ფორმატები, კომუნიკაციის ალტერნატიული ფორმები და საშუალებები. მნიშვნელოვანია ინფორმაციისა და კომუნიკაციის ნაკადის ორმხრივობა, ასევე, მომსახურებისა და ობიექტების მისაწვდომობა მათთვის, ვინც კომუნიკაციის სხვადასხვა ფორმას იყენებს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ ინფორმაცია დამხმარე მომსახურებასა და სოციალური დაცვის სქემებზე, მათ შორის, შეზღუდულ შესაძლებლობებთან დაკავშირებულ მექანიზმებზე, მრავალი წყაროდან იყოს ხელმისაწვდომი, რათა შშმ პირებმა სრულად ინფორმირებული გადაწყვეტილება მიიღონ და აირჩიონ, თუ სად, ვისთან და როგორ სურთ ცხოვრება, ან როგორი მომსახურება შეეფერებათ ყველაზე მეტად. ძალზე მნიშვნელოვანია, უკუკავშირისა და საჩივრების წარდგენის მექანიზმები არსებობდეს მისაწვდომ ფორმატშიც.

86. მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ მე-19 მუხლით გათვალისწინებული დამხმარე მომსახურების მიწოდებისას, შშმ პირების პირადი ცხოვრება, ოჯახი, საცხოვრებელი ადგილი, კორესპონდენცია და ღირსება დაცული იყოს უკანონო ჩარევისაგან (22-ე მუხლი). უკანონო ჩარევის ნებისმიერ შემთხვევაში, დამხმარე მომსახურებით მოსარგებლე ყველა შშმ პირისათვის მისაწვდომი უნდა იყოს შეზღუდული შესაძლებლობის, გენდერისა და ასაკის შესაბამისი მონიტორინგი, სამართლებრივი დაცვა და ზიანის ანაზღაურება.

87. საზოგადოებაში დამოუკიდებლად ცხოვრების უფლება არსობრივად უკავშირდება შშმ ბავშვთა და მშობელთა ოჯახის პატივისცემის უფლებას (23-ე მუხლი). საზოგადოებაზე დაფუძნებული მხარდაჭერა და მომსახურება შესაძლოა შშმ პირთა ოჯახებისათვის ფინანსური წნეხისა და შეზღუდვების მიზეზი გახდეს; 23-ე მუხლით გათვალისწინებული უფლებები აუცილებელია იმისათვის, რომ შშმ ბავშვები არ განაცალკევონ ოჯახისაგან, არ მოხდეს მათი ინსტიტუციონალიზაცია და ხელი შეეწყოს ოჯახურ ცხოვრებას საზოგადოებაში. ეს უფლებები მნიშვნელოვანია იმისათვისაც, რომ შეზღუდული შესაძლებლობის გამო, შშმ მშობლებს შვილები არ წაერთვათ. მონაწილე სახელმწიფოების მხრიდან საჭიროა ოჯახების ინფორმირება,

ხელმძღვანელობა და მხარდაჭერა, რათა დაიცვან ბავშვების უფლებები და ხელი შეუწყონ საზოგადოებაში ჩართულობასა და მონაწილეობას.

88. დამოუკიდებლად ცხოვრებისა და საზოგადოებაში ჩართულობის უფლება არსობრივად დაკავშირებულია ინკლუზიური განათლების უფლებასთან (24-ე მუხლი) და მოითხოვს შშმ პირთა დამოუკიდებელი ცხოვრების, ასევე, საზოგადოებაში ინკლუზიისა და მონაწილეობის აღიარებას.<sup>11</sup> განათლების სისტემაში შშმ პირთა ჩართვა განაპირობებს საზოგადოებაში შშმ პირთა დამატებით ინკლუზიას. მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა აღნიშნონ ინკლუზიური განათლების როლი იმ შესაძლებლობების, უნარებისა და კომპეტენციის განვითარებაში, რომლებიც შშმ პირებს სჭირდებათ საზოგადოებისაგან სარგებლის მისაღებად და მასში წვლილის შეტანისათვის.

89. ზოგადი ჯანდაცვის ობიექტები და მომსახურება (25-ე მუხლი) მისაწვდომი, ადაპტირებული და მისაღები უნდა იყოს შშმ პირებისათვის და მოიცავდეს ზოგიერთი შშმ პირის (მაგ.: ვისაც აქვს კომუნიკაციისთვის საჭირო განსაკუთრებული მოთხოვნები, ფსიქოსოციალური ან ინტელექტუალური დარღვევები და/ან სმენის პრობლემები) განსაკუთრებულ მხარდაჭერას ჰოსპიტალიზაციის, ქირურგიული ჩარევებისა და სამედიცინო კონსულტაციის დროს. ექთნების, ფიზიოთერაპევტების, ფსიქიატრების ან ფსიქოლოგების უზრუნველყოფა საავადმყოფოებსა და სახლებში, ჯანდაცვის ნაწილია და მიიჩნევა არა მე-19, არამედ 25-ე მუხლით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებად მონაწილე სახელმწიფოების მიერ.

90. საზოგადოებაში დამოუკიდებელი ცხოვრება, აბილიტაცია და რეაბილიტაცია (26-ე მუხლი) ურთიერთდამოკიდებულია. ზოგიერთი შშმ პირისთვის რეაბილიტაციის მომსახურების მიღება შეუძლებელია საკმარისი ინდივიდუალიზებული მხარდაჭერის გარეშე. ამავე დროს, რეაბილიტაციის მიზანია, შშმ პირებს მისცეს საზოგადოებაში სრულყოფილი და ეფექტიანი მონაწილეობის შესაძლებლობა. შშმ პირის აბილიტაციასა და რეაბილიტაციას აუცილებლად სჭირდება მისი თავისუფალი და ინფორმირებული თანხმობა. აბილიტაციაც და რეაბილიტაციაც განსაკუთრებით რელევანტურია განათლებასთან, დასაქმებასთან, ჯანდაცვასა და სოციალურ საკითხებთან დაკავშირებით.

91. მხარდაჭერის ინდივიდუალიზებული მომსახურება, პირადი დახმარების ჩათვლით, ხშირად შრომისა და დასაქმების უფლებით (27-ე მუხლი) სარგებლობის წინაპირობაა. გარდა ამისა, შშმ პირებს შეუძლიათ, დასაქმდნენ შეზღუდულ შესაძლებლობებზე მორგებული დამხმარე მომსახურების ფარგლებში, გახდნენ მენეჯერები ან ტრენერები. შესაბამისად, მე-19 მუხლის გათვალისწინება მათ დაეხმარება შრომის შემსუბუქებული პირობებიდან თანდათანობით გასვლაში.

92. იმისათვის, რომ შშმ პირებს ცხოვრების სათანადო სტანდარტით სარგებლობის (28-ე მუხლი) შესაძლებლობა ჰქონდეთ, მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა მისცენ წვდომა, *inter alia*, ისეთ დამხმარე მომსახურებაზე, რომელიც მათ დამოუკიდებელი ცხოვრების საშუალებას მისცემს. ამდენად, მხარე სახელმწიფოებს ევალებათ შესაბამისი და მისაწვდომი მომსახურების, მოწყობილობებისა და დახმარების უზრუნველყოფა დარღვევებზე დამოკიდებულ მოთხოვნათა შესაბამისად, განსაკუთრებით, სიღარიბეში მცხოვრები შშმ პირებისთვის. აუცილებელია საჯარო და სუბსიდირებული განსახლების პროგრამებზე ხელმისაწვდომობაც. შშმ პირთა მიერ შეზღუდულ შესაძლებლობებთან დაკავშირებული ხარჯების დაფარვა მიიჩნევა კონვენციის დარღვევად.

93. შშმ პირებს უნდა შეეძლოთ მონაწილეობა თავიანთი საზოგადოების განვითარებაზე ზეგავლენის მქონე გადაწყვეტილებებში და მათზე ზემოქმედება, რისთვისაც უნდა ჰქონდეთ პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლება და შეეძლოთ მისით სარგებლობა (29-ე მუხლი), პირადად ან წარმომადგენელი ორგანიზაციების მეშვეობით. სათანადო მხარდაჭერა შშმ პირებისათვის შეიძლება ღირებული იყოს ხმის მიცემის უფლებით სარგებლობისას, პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობისა და საჯარო საქმიანობის კუთხით. მნიშვნელოვანია, რომ ასეთ დროს დამხმარებმა ან მხარდამჭერმა პერსონალმა არ შეზღუდონ შშმ პირის არჩევანი ან გავლენა არ მოახდინონ მასზე.

<sup>11</sup> შშმ პირთა უფლებების კომიტეტის ზოგადი კომენტარი №4 (2016) ინკლუზიური განათლების უფლების შესახებ.

94. კულტურულ, სპორტულ, გასართობ და რეკრეაციულ ღონისძიებებში მონაწილეობა (30-ე მუხლი) საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობის მნიშვნელოვანი განზომილებებია. მათი ინკლუზიურობის მისაღწევად, საჭიროა შესაბამისი ღონისძიებების, აქტივობებისა და ობიექტების მისაწვდომობა შშმ პირებისათვის. პირადი დამხმარეები, გიდები, მკითხველები, ქსეტების ენისა და ტაქტილური კომუნიკაციის თარჯიმნები, სხვებთან ერთად, ხელს უწყობენ საზოგადოების ინკლუზიურ ცხოვრებას, შშმ პირთა სურვილისა და პრიორიტეტების შესაბამისად. მნიშვნელოვანია, ნებისმიერი მხარდაჭერით სარგებლობა განისაზღვროს შეზღუდულ შესაძლებლობებთან დაკავშირებული ხარჯის ნაწილად, რადგან მსგავსი მომსახურება ხელს უწყობს საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობასა და დამოუკიდებელ ცხოვრებას. დამხმარეები, რომლებიც აუცილებელი არიან შშმ პირთა კულტურულ და რეკრეაციულ აქტივობებში მონაწილეობისათვის, არ უნდა იხდიდნენ შესვლის საფასურს. არ უნდა არსებობდეს რაიმე სახის შეზღუდვა, თუ როდის, სად და როგორი აქტივობებისათვის გამოიყენებენ მხარდაჭერას (არც ეროვნულ და არც საერთაშორისო დონეზე).

95. მონაცემებისა და ინფორმაციის დახარისხება შეზღუდული შესაძლებლობის მიხედვით (31-ე მუხლი) სისტემატურად უნდა ხდებოდეს ყველა სექტორში, მათ შორის, განსახლების, საცხოვრებელი პირობების, სოციალური დაცვის სქემების, დამოუკიდებელი ცხოვრებისა და მხარდაჭერის, ანდა მომსახურების გათვალისწინებით. ინფორმაცია უნდა იძლეოდეს საშუალებას, რეგულარულად გაანალიზდეს დეინსტიტუციონალიზაციის პროცესი და საზოგადოებაში დამხმარე მომსახურებაზე გადასვლა. მნიშვნელოვანია, თითოეულ წევრ სახელმწიფოში არსებული ინდიკატორები ასახავდეს განსაკუთრებულ გარემოებებს.

96. საერთაშორისო თანამშრომლობის (32-ე მუხლი) ფორმა უნდა ითვალისწინებდეს უცხოური დახმარების ინვესტირებას ადგილობრივი საზოგადოებების დამხმარე მომსახურების განვითარებაში, ისე, რომ ეს მომსახურება, მე-19 მუხლის თანახმად, პატივს სცემდეს შშმ პირთა სურვილებსა და პრიორიტეტებს, ასევე, ხელს უწყობდეს მათ უფლებას, აირჩიონ, თუ სად, ვისთან ერთად და როგორ იცხოვრებენ. მიუღებელია საერთაშორისო თანამშრომლობის ფარგლებში მოპოვებული თანხების ინვესტირება ახალი ინსტიტუციების, განსახლების ადგილებისა ან ზრუნვის ინსტიტუციური მოდელის შემუშავებაში, რადგან ეს იწვევს შშმ პირთა სეგრეგაციასა და იზოლაციას.

## V. იმპლემენტაცია ეროვნულ დონეზე

97. კომიტეტი აღნიშნავს, რომ დამოუკიდებელი ცხოვრებისა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართვის უფლების ეროვნულ დონეზე განხორციელებისას მონაწილე სახელმწიფოები შეიძლება გარკვეული გამოწვევების წინაშე დადგნენ. ზემოაღნიშნული ნორმატიული შინაარსისა და ვალდებულებების გათვალისწინებით, კონვენციის მე-19 მუხლის სრულყოფილად განხორციელებისათვის მათ შემდეგი ნაბიჯები უნდა გადადგან:

(ა) გააუქმონ ყველა კანონი, რომლებიც ნებისმიერ შშმ პირს, შეზღუდვის ტიპის მიუხედავად, არ აძლევს საშუალებას, აირჩოს, თუ სად, ვისთან და როგორ სურს ცხოვრება და ხელს უშლის ისეთი უფლების განხორციელებაში, როგორცაა დაცვა სპეციალურად გამოყოფილ ადგილებში დასახლების ვალდებულებისაგან;

(ბ) ამოქმედონ და აღასრულონ კანონები, სტანდარტები და სხვა ზომები, რომლებიც მიზნად ისახავს ადგილობრივი საზოგადოებისა და გარემოს, ასევე, ინფორმაციისა და კომუნიკაციის მისაწვდომობას ყველა შშმ პირისათვის;

(გ) უზრუნველყონ, რომ სოციალური დაცვის პროგრამები სხვათა თანასწორად აკმაყოფილებდეს შშმ პირთა ფართო სპექტრის მოთხოვნებს;

(დ) პოლიტიკასთან, კანონებთან, სტანდარტებსა და სხვა ზომებთან მიმართებით, უნივერსალური დიზაინის პრინციპი გაითვალისწინონ როგორც ფიზიკურ, ისე ვირტუალურ სივრცეში, მათ შორის, ვალდებულებათა შესრულების/განხორციელების მონიტორინგისას; გადახედონ სამშენებლო კანონმდებლობას (კოდექსებს) და უზრუნველყონ, რომ ის ითვალისწინებდეს როგორც უნივერსალური დიზაინის, ისე საკანონმდებლო სახელმძღვანელო პრინციპებს მშენებლობის შესახებ, კომიტეტის № 2 ზოგადი კომენტარის შესაბამისად;

- (ე) ყველა შშმ პირისათვის უზრუნველყონ საზოგადოებაში დამოუკიდებელი ცხოვრების მატერიალური და საპროცესო უფლება;
- (ვ) შშმ პირებს მიაწოდონ ინფორმაცია დამოუკიდებელი ცხოვრებისა და საზოგადოებაში ჩართულობის უფლების შესახებ, მათთვის გასაგები ფორმით, და უზრუნველყონ გაძლიერებისათვის საჭირო ტრენინგები, რომლებიც მიზნად ისახავს შშმ პირთა მხარდაჭერას საკუთარი უფლებებით სარგებლობისას;
- (ზ) შეიმუშაონ დეინსტიტუციონალიზაციის გასაგები და მიზანმიმართული სტრატეგიები, კონკრეტული ვადისა და ბიუჯეტის თანხლებით, რათა აღმოფხვრან შშმ პირთა იზოლაციის, სეგრეგაციისა და ინსტიტუციონალიზაციის ყველა ფორმა; განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ფსიქოსოციალური და/ან ინტელექტუალური დარღვევების მქონე პირებსა და შშმ ბავშვებს, რომლებიც ამჟამად ინსტიტუციურ დაწესებულებებში იმყოფებიან;
- (თ) შექმნან ცნობიერების ასამაღლებელი პროგრამები, რომლებიც მიემართება შშმ პირთა მიმართ არსებულ უარყოფით დამოკიდებულებასა და სტერეოტიპებს და მიზნად ისახავს საზოგადოების გარდაქმნას, რათა ჩვეულებრივი მომსახურება ინდივიდუალიზებული და მისაწვდომი გახდეს;
- (ი) შშმ პირები, პირადად და მათი წარმომადგენელი ორგანიზაციების მეშვეობით, ჩართონ დამხმარე მომსახურების, ასევე, საზოგადოების გარდაქმნისა და დეინსტიტუციონალიზაციის სტრატეგიების შემუშავებასა და განხორციელებაში;
- (კ) შექმნან ყოვლისმომცველი პოლიტიკა და საკანონმდებლო სახელმძღვანელო პრინციპები; გამოყონ ფინანსური რესურსები, რომლებიც მოხმარდება მისაწვდომი საბინაო ერთეულების, ინფრასტრუქტურის, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებისა და ტრანსპორტის შექმნას; უზრუნველყონ შესაბამისი ვადები მათი იმპლემენტაციისათვის, ასევე, ეფექტიანი, შემაკავებელი და პროპორციული სანქციები საჯარო ან კერძო პირების მიერ მათი დარღვევისათვის;
- (ლ) გამოყონ რესურსები, რომელთა მეშვეობითაც სათანადოდ და საკმარისად შემუშავდება შშმ პირისათვის/მომხმარებლისათვის გამოსაყენებელი ან თვითმართვადი დამხმარე მომსახურება, მათ შორის, პირადი დახმარება, ასევე, გიდების, მკითხველებისა და პროფესიულად გაწვრთნილი ქესტების ენისა და სხვა თარჯიმნების მომსახურება;
- (მ) შექმნან საზოგადოებაში დამოუკიდებლად მცხოვრებ შშმ პირთა დამხმარე მომსახურების სატენდერო პროცედურები, რომლებიც მე-19 მუხლის ნორმატიულ შინაარსს შეესაბამება;
- (ნ) ჩამოაყალიბონ მონიტორინგის დამოუკიდებელი მექანიზმები, რომლებითაც ზედამხედველობა გაეწევა არსებულ ინსტიტუციებსა და განსახლების მომსახურებებს, ასევე, დეინსტიტუციონალიზაციის სტრატეგიებისა და საზოგადოებაში დამოუკიდებელი ცხოვრების დანერგვას;
- (ო) მე-19 მუხლით გათვალისწინებული მონიტორინგისა და იმპლემენტაციის პროცესი უნდა წარიმართოს შშმ პირებთან კონსულტაციითა და მათი წარმომადგენელი ორგანიზაციების ჩართულობით.